



ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის
მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და ბანაკობულებათა კრებული

1932 წლის
აგვისტოს 15

№ 20

გ ა ნ ც ო ფ ი ლ ე მ ა პ ი რ ე ლ ი

ა/კსფსრ სახალხო კომისარ-
თა საბჭოს საქმეთა მმართველობის გამოცემა.

შ ი ნ ა ა რ ს ი:

დადგენილებანი ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოში და სრულიად საქავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტისა.

- მუხ. 151. ა/კსფსრ-ში 1932 წლის ბაზისის მოსავლის აღების კამპანიის ორგანიზაციისა და ჩატარების შესახებ.
- 152. ა/კსფსრ მებაზობის 1933 წლის საკონტროლო ციფრების შესახებ.

დადგენილებანი ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოში.

- 153. „რევოლუციონური კანონიერების თაობაზე“ გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. ივნისის 25-ის დადგენილების ა/კსფსრ-ში განხორციელების ღონისძიებათა შესახებ.

დადგენილებანი ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

- 154. შინაური კურდღლის მოშენების სფეროში საბჭოების ამოცანების შესახებ.
- 155. ტექნიკური კულტურების განვითარების სფეროში ქობულეთის სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის საბჭოთა-მასსური მუშაობის მდგომარეობის შესახებ.
- 156. ბაქოს, ტფილისის და ერივანის საქალაქო საბჭოებისათვის გადაცემული ადგილობრივი მრეწველობის შესახებ.

დადგენილებანი ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოში.

- 157. „ზაგოტზერნო“-ს სისტემაში ადგილობრივი საექვევი, საბურღულე და ზეთეული მრეწველობის სამმართველოს მოწყობის შესახებ.
- 158. ამიერკავკასიის წყალმომარაგების ტრესტის განყოფილებების ნაცვლად რესპუბლიკებში წყალსამეურნეო სამმართველოების მომარაგების ტრესტების მოწყობის შესახებ.
- 159. ამიერკავკასიის თბობეტონის მშენებლობის ტრესტის მოწყობის შესახებ.
- 160. ა/კსფსრ ჰიდრო-მეტეოროლოგიური კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ.
- 161. სამალარო კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი და სრულნიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სახსარმო კომიტეტისა.

151. 1932 წლის ბამბის მოსავლის აღების კამპანიის ორგანიზაციისა და ჩატარების შესახებ.

პარტიის გენერალური ხაზის მკვეთრად ჩატარების საფუძველზე ა/კსფსრ პარტიული ორგანიზაციები იწყებენ ხუთწლედის დამამთავრებელი წლის ბამბის მოსავლის აღების კამპანიის მთელი რიგი სერიოზული მიღწევების პირობებში: კოლექტიური მეორნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ზრდა და მეზამბეობის ტექნიკური შეიარაღების წარმატება, რაც შედეგია სამანქანო-სატრაქტორო სადგურების ხშირი ქსელის მშენებლობისა, ფართოდ გაშლილი საირრიგაციო მშენებლობისა და სხვ.

ბამბის ფრონტზე მიღწეული წარმატებანი ვალდებულყოფს ყველა პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციას—ბამბის დამუშავების მიმდინარე კამპანიის ტემპების შეუსუსტებლად და ბამბის მოსავლის აღების წარსული წლის კამპანიის ნაკლოვანებებისა და შეცდომების (ბამბის მოსავლის აღებისათვის აროდამაკმაყოფილებელი მომზადება, მოსავლის აღების გეგმების ბამბის მოწვევის ტემპებთან შეუფარდებლობა, აშკარა დემობილუზებული განწყობილობა და ამასთან დაკავშირებით თვითმიდინარეობა მთელი რიგი რაიონების პარტიული ორგანიზაციის მუშაობაში ბამბის მოსავლის აღების პირველ პერიოდში, შრომის ორგანიზაციის სერიოზული ნაკლოვანებანი და სხვა მისთ.) ანგარიშში მიღებით—დაუყოვნებლივ ბოლშევიკურად გაშალონ მიმდინარე წლის ბამბის მოსავლის აღების კამპანიისათვის ფართო მასსური სამომზადებლო მუშაობა.

1932 წელს ბამბის მოსავლის აღების კამპანიის თავის დროზე მომზადებისა და წარმატებით ჩატარების მიზნით ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო და სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სახსარმო კომიტეტი ადგენენ:

1. 1932 წლის მოსავლის ნეღლი ბამბის გადარჩევისა და შესყიდვის გეგმა მიღებულ იქნეს ამ გეგმით დადგენილი მოსავლიანობისა და მიმდინარე წლის ბამბის საკონტრაქტაციო ფართობის კვალობაზე, სტიქიურ მოვლენათაგან განდგურებული ფართობების გამოკლებით.

2. ზემოხსენებული გეგმის მიხედვით 1932 წლის მოსავლის ნეღლი ბამბის აღებისა და შესყიდვის საერთო გეგმა ა/კსფსრ-თვის განსაზღვრულ იქნეს 170.000 ტონნას რაოდენობით (კულაკურ-შეძლებულ მეურნეობების მოსავლის აღების გარდა, რაც გეგმის ზედმეტად სწარმოებს); აქედან: საგლეხო სექტორის ხაზით 155.792 ტონნა და საბჭოთა მეურნეობების სექტორის ხაზით—14.208 ტონნა, შემდეგი განაწილებით რესპუბლიკებზე:

რესპუბლიკები	საგლეხო სექტორი (სარწყავი)				საბჭოთა მეურნ. სექტ.			ს უ ლ		
	ამერიკ.	ფგვიპტ	ბოგარ. ამერ.	ჯამი	ამერიკ.	ფგვიპტ	ჯამი	ამერიკ.	ფგვიპტ	ჯამი
აზერბაიჯანის სსრ	130.993	1.811	840	133.644	7.593	4.093	11.686	138.926	5.904	145.330
სომხეთის სსრ	14.391	—	—	14.391	609	—	609	15.000	—	15.000
საქართველოს სსრ	7.705	—	52	7.757	1.899	14	1.913	9.656	14	9.670
ა/კსფსრ	153.089	1811	892	155.792	10.101	4.107	14.208	163.582	5.918	170.000

3. ცალკეული საბამზე საბჭოთა მეურნეობების ხაზით ნედლი ბამბის მოსავლის აღების გეგმა მიღებულ იქნეს შემდეგი რაოდენობით:

აზერბაიჯანის სსრ-ში:	ტ	ო	ნ	წ	ო	ბ	ი	თ
	ფავიბტ.	ამერიკ.				სულ		
ყარა-კალა	2.892	733				3.625		
ამხ. სტალინის სახელობისა	1.167	5.994				7.161		
ამხ. აზიზბეკოვის „	34	866				900		
სულ აზერბაიჯანის სსრ-ში	4.093	7.593				11.686		
სომხეთის სსრ-ში:								
სარდარაბადი	—	609				609		
სულ სომხეთის სსრ-ში	—	609				609		
საქართველოს სსრ-ში:								
ალაზანი	14	1.409				1.423		
ყარაია	—	490				490		
სულ საქართველოს სსრ-ში	14	1.899				1.913		
სულ ა/კსფსრ საბჭოთა მეურნეობებში	4.107	10.101				14.203		

4. მიმდინარე ზაფხულის პერიოდის კლიმატიური პირობებისა და ცალკეული რაიონების თავისებურობის მიხედვით და აგრეთვე იმის გამო, რომ მიმდინარე წელს ბამბის თესვა ა/კსფსრ-ში ჩატარებულ იქნა საერთოდ უფრო შეზღუდულ ვადებზე, ვიდრე შარშან,—დაწესებულ იქნეს ა/კსფსრ საბამზე რაიონებისათვის ნედლი ბამბის მოსავლის აღება-დამზადების შემდეგი ვადები და რაოდენობა:

საერთო დამზადების პროცენტობით:

	ავვისტოში	სექტემბერში	ოქტომბერში	ნოემბერში
აზერბაიჯანის სსრ	3	25	55	17
სომხეთის სსრ	—	10	55	35
საქართველოს სსრ	—	10	55	35

5. წინადადება მიეცეს რესპუბლიკების ცენტრალურ კომიტეტებსა და სახალხო კომისართა საბჭოებს—ნედლი ბამბის მოსავლის აღებისა და დამზადების შემოაღნიშნული ვადების და რაოდენობის შესაბამისად—შემუშაონ ხუთი დღის ვადაზე რაიონობითი სადეკადო გეგმები—ისე, რომ ნედლი ბამბის მოსავლის აღებასა და შესყიდვას შორის უთანაბრობა არ იყოს და განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ნედლი ბამბის თავის დროზე მოკრეფვას და თვისებას იმ საბჭოთა მეურნეობებში, რომლებსაც ამ ჟამად უპირატესად სათესლე ბაზისების მნიშვნელობა აქვთ.

წინადადება მიეცეს საბამზე რაიონების სარაიონო პარტიულ კომიტეტებს და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს—სამანქანო-სატრაქტორო სადგურებთან და სარაიონო საკოლმეურნეო კავშირებთან ერთად—მიაწვდინონ გეგმა საბჭოთა მეურნეობამდე, კოლექტიურ მეურნეობამდე და სოფლამდე არა უგვიანეს

ავვისტოს 15-სა და გაშალონ ბამბის მოსავლის აღებისა და დამზადების გარშემო ფართო საორგანიზაციო პოლიტიკურ-განმარტებითი კამპანია.

დაევალოს საბამზე რაიონების სარაიონო პარტიულ ორგანიზაციებს და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს—დაამყარონ სისტემატიური მძაფრი კონტროლი კულაქურ-შეძლებული მეურნეობების მიერ ნედლი ბამბის მოსავლის აღებისა და ჩაბარების მტკიცე დავალებათა შესრულებისათვის.

6. წინადადება მიეცეს ა/კ. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს და შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებული დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულს ა/კსფსრ-ში, სსრკ-ის მთავრობის მიერ 1932 წლისთვის ბამბის ბოჭკოს კალკულაციის დამტკიცებისას, დაიმუშაონ ნედლი ბამბის ხარისხობითი ფასის საკითხი და წარუდგინონ იგი დასამტკიცებლად ა/კსფსრ სახალხო კომისარიატსა და საბჭოს.

7. რადგანაც სამანქანო-სატრაქტორო სადგური ძირითად ორგანიზატორად ითვლება ნედლი ბამბის წარმოებისა და მოსავლის აღების საქმეში, დაეკისროს ტრაქტორცენტრის სისტემას პასუხისმგებლობა სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მოქმედების რაიონებში ბამბის მოსავლის თავის დროზე აღებისა და დამზადების პუნქტებზე მიზიდვის ორგანიზაციისათვის მთელი სახელშეკრულებო სექტორის ხაზით (კოლმეურნენი და ინდივიდუალური მშრომელი მეურნენი). დაევალოს „ზაგოტხლოპოკ“-ს—უზრუნველჰყოს ტრაქტორცენტრის სისტემისათვის ნედლი ბამბის მოსავლის აღებისა და გადაზიდვის მოსაწყობად სახსარის თავის დროზე გადარიცხვა ისეთი რაოდენობით, რაც დადგენილია „სოიუზზაგოტხლოპოკ“-ისა და „სოიუზტრაქტორცენტრ“-ის შეთანხმებით.

8. დაეკისროს „ზაგოტხლოპოკ“-ის სისტემას პასუხისმგებლობა ბამბის მთესველთაგან ნედლი ბამბის თავის დროზე მიღებისა და მათთან ანგარიშის გასწორებისათვის (როგორც ფულადი, ისე ნატურალური) და აგრეთვე ავანსებისა და ვალების დაჭერისათვის.

დაევალოს ბამბის დამზადებელ რესპუბლიკანურ ორგანოებსა და ტრაქტორცენტრის განყოფილებებს—დასდგან ხუთი დღის ვადაზე თავიანთ შორის ხელშეკრულებები ტრაქტორცენტრის სისტემის მიერ თავის დროზე ნედლი ბამბის აღებისა და დამზადების პუნქტებზე მიზიდვის შესახებ და ამ ხელშეკრულებების საფუძვლებზე მისცენ დირექტივები სამანქანო-სატრაქტორო სადგურებს და დამზადების პუნქტებს სათანადო ლოკალური ხელშეკრულებების დადების შესახებ არე უგვიანეს ავვისტოს 15-სა.

9. ნედლი ბამბის გადაზიდვის რადიუსად დადგენილ იქნეს 10 კილომეტრი, რაც ცალკეულ შემთხვევაში შეიძლება გადიდდეს 15 კილომეტრამდე; ამასთანავე, ბამბის მთესველთ უნდა აენაზღაუროს ათი კილომეტრის მეტ მანძილზე გადაზიდვის ღირებულება „სოიუზტრანს“-ის ფასების კვალობაზე.

წინადადება მიეცეს „სოიუზზაგოტხლოპოკ“-ის რწმუნებულს ა/კსფსრ-ში—ა/კ. ტრაქტორცენტრთან და ა/კ. საკოლმეურნეო ცენტრთან ერთად—დაადგინოს იმ შემსყიდველი პუნქტების ნუსხა, რომლებამდეც მიზიდვის რადიუსი 10 კილომეტრს აღემატება, და წარუდგინოს იგი დასამტკიცებლად ა/კსფსრ სახალხო კომისარიატსა და საბჭოს.

დაევალოს „სოიუზგოტხლოპოკ“-ის რწმუნებულს ა/კსფსრ-ში—არსებული შემსყიდველი პუნქტების (71) დასამატებლად მოაწყოს მოსავლის აღების დასაწყისისათვის თერთმეტი ახალი მუღმევი და შვიდი მიმომსვლელი შემსყიდველი პუნქტი; აქედან: აზერბაიჯანის სსრ-ში—14 (7 მუღმევი, 7 მიმომსვლელი), სომხეთის სსრ-ში—3 და საქართველოს სსრ-ში—1.

10. წინადადება მიეცეს „სოიუზგოტხლოპოკ“-ის რწმუნებულს ა/კსფსრ-ში დაამთავროს ა/წ. სექტემბრის 15-თვის საბამზე ჩარდახების და სასაწყობო სათავსების მშენებლობა შემდეგი რაოდენობით: აზერბაიჯანის სსრ-ში—189.300 კუბიკური მეტრ., სომხეთის სსრ-ში—14.460 კუბ. მეტრ., საქართველოს სსრ-ში—25.970 კუბ. მეტრ. და სულ აკსფსრ-ში—229.730 კუბ. მეტრ.; ამრიგად, ნედლი ბამბის შენახვა უზრუნველყოფილ იქნეს სასაწყობო სათავსებით ა/კსფსრ-ში აღებული საერთო მოსავლის 80%-დე.

11. წინადადება მიეცეს „ზგოტხლოპოკ“-ს—აწარმოოს ბამბის მთესველებისთვის ბარდანების მიცემა თითო ტონნა ნედლ ბამბაზე ორი ბარდანის ანგარიშით და განსაზღვროს ამ ბარდანების ხუთჯერადი ბრუნვა.

ბარდანების ბრუნვის დაჩქარების მიზნით წინადადება მიეცეს ტრაქტორ-ცენტრის სისტემას—მაქსიმალურად გამოიყენოს დაკონტრაქტებული სექტორის ტრანსპორტი ნედლი ბამბის გადაზიდვის დასაჩქარებლად.

12. წინადადება მიეცეს რესპუბლიკების ცენტრალურ კომიტეტებს და სახალხო კომისართა საბჭოებს—მისცენ ღირებულებები საბამზე რაიონების ხელმძღვანელ სარაიონო ორგანიზაციებს—იხმარონ მტკიცე ღონისძიებანი იმ ბარდანების დაბრუნებისათვის, რაც წარსულ—1931—წელს ჩარჩა ბამბის მთესველთა ხელში და აკრძალონ ბარდანების ყოველგვარი გამოყენება არაპირდაპირი დანიშნულებისამებრ. ამ პირობის ბოროტეულად აღუსრულებლობისათვის ყველა დამნაშავე მისცენ პასუხისგებაში სასამართლო წესით.

13. წინადადება მიეცეს „სოიუზგოტხლოპოკ“-ის რწმუნებულს ა/კსფსრ-ში—დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულთან (ა/კ. სკს-თან) ერთად—განსაზღვროს ზედმიწევნით მოთხოვნილება ბრეზენტებისადმი და იხმაროს ღონისძიება, რათა ბამბის მოსავლის აღების კამპანია სავსებით უზრუნველყოფილ იქნეს ბრეზენტებით დამზადებული ორგანოებისა და სხვა ორგანიზაციების ხარჯზე.

14. ბამბის მოსავლის აღების კამპანიისთვის დროზე მიმღებ-დამხარისხებელთა და მონაგარიშე-მომუშავეთა კადრებით უზრუნველყოფის მიზნით დაევალოს „ზგოტხლოპოკ“-ს და ბამბის დამზადებელ რესპუბლიკანურ ორგანოებს—დააჩქარონ აღნიშნული კატეგორიის მომუშავეთა მომზადება „ზგოტხლოპოკ“-ის სისტემაში მომქმედი კურსების მეშვეობით—ისეთი ვარაუდით, რომ ეს მომუშავენი გამოშვებულ იქნენ არა უგვიანეს ა/წ. სექტემბრის 1-სა.

15. ვინაიდან ბამბის მოსავლის აღების მექანიზაციას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს—წინადადება მიეცეს ა/კ. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს და შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებული დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულს—სასწრაფოდ აღძრან სსრკ-ის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისა და შრომის და თავდაცვის საბჭოსთან არსებული დამზადებათა

კომიტეტის წინაშე საკითხი ა/კსფსრ საბამზე რაიონებში ორასი ცალი ტურმან-ვაკუუმის დაუყოვნებლივ შემოზიდვის თაობაზე; აქედან საბჭოთა მეურნეობებისათვის—65 ცალისა და საგლეხო სექტორისათვის—135 ცალისა.

ა/კ. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა—შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებული დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულთან ერთად—უნდა განაწილოს მოსავლის ამღები შემოსაზიდი მანქანები რესპუბლიკებზე და სამანქანო-სატრაქტორო სადგურებზე, რისთვისაც საჭიროა დაამყაროს მოსული მანქანების საბჭოთა მეურნეობებში და სამანქანო-სატრაქტორო სადგურებზე წარმართვის რიგობა.

დაევალოს ა/კ. ტრაქტორცენტრს—სამანქანო-სატრაქტორო სადგურების ხაზით და რესპუბლიკანურ მეგამბეობის კომიტეტებს—საბამზე საბჭოთა მეურნეობების ხაზით—დაამთავრონ მოსავლის ამღები მანქანების რემონტი და ადგილებზე ხელთკონებული ყველა მანქანა განამზადონ სამუშაოდ არა უგვიანეს ა/წ. აგვისტოს 15-ისა.

ა/კ. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა განსაკუთრებული მეთვალყურეობა უნდა იქონიოს მოსავლის ამღები მანქანების რემონტისათვის.

16. წინადადება მიეცეს ა/კ. თესვის კომიტეტს და რესპუბლიკების თესვის კომიტეტებს—განიხილონ ხუთი დღის ვადაზე განაცხადები ტრაქტორცენტრისა—სამანქანო-სატრაქტორო სადგურების ხაზით და რესპუბლიკების მეგამბეობის კომიტეტებისა—საბამზე საბჭოთა მეურნეობების ხაზით—სლედინგების დამზადების შესახებ და უზრუნველყონ მათი მოთავსება და გაკეთება ადგილობრივ ქარხნებსა და სახელოსნოებში.

17. ა/კ. ტრაქტორცენტრმა და ა/კ. საკოლმეურნეო ცენტრმა—სამანქანო-სატრაქტორო სადგურების ხაზით და რესპუბლიკების მეგამბეობის კომიტეტებმა—საბჭოთა მეურნეობების ხაზით უნდა მოამზადონ არა უგვიანეს სექტემბრის 1-სა საჭირო რიცხვი მუშა-ბრიგადირები და ინსტრუქტორები მოსავლის ამღებ მანქანებზე სამუშაოდ.

18. წინადადება მიეცეს „ზაგოტხლოპოკ“-ს—ზამბასაწმენდი ქარხნების და დამზადების პუნქტების ხაზით და რესპუბლიკების მეგამბეობის კომიტეტებს—საბამზე საბჭოთა მეურნეობების ხაზით—დაამთავრონ სექტემბრის 15-თვის ბამბასაწმენდი ქარხნებში, დიდრონ დამზადების პუნქტებზე და საბჭოთა მეურნეობებში სასტაციონარო ჩელხსაწმენდების დადგმა.

დაევალოს ა/კ. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს და „სოიუზზაგოტხლოპოკ“-ის რწმუნებულს ა/კსფსრ-ში—იხმარონ, სსრკ-ის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისა და „სოიუზზაგოტხლოპოკ“-ის მეშვეობით, სათანადო ღონისძიებანი, რათა ამიერკავკასიის საჭიროებისათვის თავის დროზე წარმოიგზავნოს ჩელხსაწმენდები—ისეთი ვარაუდით, რომ ეს ჩელხსაწმენდები აუცილებლად დაიდგას ადგილებზე არა უგვიანეს ზემოაღნიშნული ვადისა.

19. დაევალოს „სოიუზზაგოტხლოპოკ“-ის რწმუნებულს ა/კსფსრ-ში—დააჩქაროს ბამბის ქარხნების რემონტის სამუშაოები—ისეთი ვარაუდით, რომ მთელი სარემონტო კამპანია ყველა ბამბასაწმენდი ქარხნის ხაზით დამთავრებულ იქნეს ა/კსფსრ-ში არა უგვიანეს ა/წ. აგვისტოს 25-სა.

20. რადგანაც ა/კსფსრ საბამზე რაიონებში გზები და ხიდები ცუდ მდგომარეობაშია, წინადადება მიეცეს:

ა) რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს და ა/კ. გზატკეცილებსა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოს—დაამთავრონ ძირითად საბამზე რაიონებში რესპუბლიკანური მნიშვნელობის მქონე გზატკეცილებისა და ხიდების რემონტი არა უგვიანეს ა/წ. სექტემბრის 1-სა;

ბ) რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—გამოსცენ დადგენილება, რომლითაც ადგილობრივ ორგანოებს დაევალებათ მოახდინონ ბამბასაწმენდი ქარხნების და შემსყიდველი პუნქტების რაიონებში ყამირგზების და ხიდების რემონტი მოსავლის აღების კამპანიის დასაწყისისათვის;

გ) რესპუბლიკების მებამბეობის კომიტეტებს და საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს—დაუყოვნებლივ გაშალონ სამუშაოები საბჭოთა მეურნეობებშიგნითი ცუდი გზების რემონტისათვის და გააუმჯობესონ ამ გზების მდგომარეობა არა უგვიანეს ა/წ. სექტემბრის 15-სა;

დ) ა/კ-სა და აზერბაიჯანის გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოებს—გააუმჯობესონ ა/წ. სექტემბრის 1-თვის ქურდამირ-ახსუსი, ლიაკი-გოჯალისა, გოქჩა-უჯარისა, ქეჩარლი-გინდარხისა, აღდამ-გინდარხისა და აღჯაბედ-ნაჯაფ-ყულიბეილის გზების მდგომარეობა;

ე) სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს ა/კსფსრ-ში—უზრუნველყოს რიგგარეშე ხეტყის მასალის გაცემა ა/კ. გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოს განაცხადების თანახმად ა/კსფსრ საბამზე რაიონებში გზებისა და ხიდების რემონტის და მშენებლობისათვის.

21. წინადადება მიეცეს „ზაგოტოხლოპოკ“-ს და მის სისტემას, ა/კ. რკინის გზების დირექციას, „სოიუზტრანს“-ს და ა/კ. წყალ-სამდინარეო ტრანსპორტის სამმართველოს—დასდვან ერთი დეკადის ვადაზე ხელშეკრულებანი ნედლი ბამბისა და სხვა საბამზე ტვირთის გადაზიდვის შესახებ.

22. ნედლი ბამბის დაუცადებელი ტრანსპორტირების მიზნით—დაევალოს „სოიუზტრანს“-ის ა/კ. კონტორას, ტრაქტორცენტრის სისტემასთან ერთად, მოაწყოს ბამბის მოსავლის აღების კამპანიის პერიოდის განმავლობაში მოძრავი სახელოსნოები ავტოტრანსპორტისა და ჭაპანზიდვის ტრანსპორტის რემონტისათვის.

ა/კ. მომარაგება-გასაღების ტრესტმა და სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულმა ა/კსფსრ-ში—უზრუნველყონ, „სოიუზტრანს“-ის განცხადის თანახმად, აღნიშნული სახელოსნოები საქირო რაოდენობის რკინით და ხეტყის მასალით.

23. რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებმა უნდა გამოსცენ არა უგვიანეს აგვისტოს 10-სა დადგენილება ბამბის მოსავლის აღების კამპანიის პერიოდში კულაკურ-შეძლებული მეურნეობების სატრანსპორტო საშუალებათა მობილიზაციის წესის შესახებ.

24. რადგანაც 1931 წელს ბამბის ნათესები შესამჩნევად წახდენილი იყო საქონლის მიშვებით—წინადადება მიეცეს რესპუბლიკების ცენტრალურ კომიტე-

ტებს და სახალხო კომისართა საბჭოებს—შეიმუშაონ ერთი დეკადის ვადაზე ღონისძიებანი, რომლითაც გაძლიერებულ იქნება წამხდენელთა პასუხისმგებლობა, განსაკუთრებით კულაკურ-შეძლებული მეურნეობების მიმართ.

25. კვლავ დადასტურებულ იქნეს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი: 1930 წ. სექტემბრის 24-სა „ბამბის ადგილობრივ ჩარჩენის საწინააღმდეგო ღონისძიებათა შესახებ“ და 1931 წ. სექტემბრის 11-სა „ბამბის ბოროტეულად ჩაუბარებლობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“.

26. წინადადება მიეცეს ა/კ. მომარაგების სახალხო კომისარიატს და ა/კ. სამომხმარებლო კოოპერაციის კავშირს—წარგზავნონ სამრეწველო საქონელი ა/კსფსრ საბამზე რაიონებში ბამბის მოსავლის აღების კამპანიის პერიოდისათვის ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. იანვრის 21-ის დადგენილებით გათვალისწინებული ვადებისა და რაოდენობის შესაბამისად.

27. დაევალოს ა/კსფსრ საკოლმეურნეო ცენტრს, რესპუბლიკების საკოლმეურნეო ცენტრებს და ტრაქტორცენტრის სისტემას, სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს ივლისის 5-ის დადგენილების შესაბამისად, მიაქციონ მაქსიმალური ყურადღება კოლექტიურ მეურნეობებში შრომის ორგანიზაციის საკითხს, შეამოწმონ კოლექტიური მეურნეობების მზადყოფნა მოსავლის აღების კამპანიისათვის და მიაქციონ განსაკუთრებული ყურადღება ძალთა სთანადოდ განწესებას, მუშაობის საბრიგადო მეთოდის შთანერგვას, ნამუშევარის ნორმების სისწორით განსაზღვრას, შრომის სოციალისტური ფორმების განვითარებას, მოსავლის აღების სამუშაოებში ქალთა მაქსიმალურად ჩაბმას; ეს მუშაობა სთანადოდ შეთავსებულ უნდა იქნეს მარცვლეული კულტურების მოსავლის აღებისა და ვალეწვის დამთავრებასთან და საშემოდგომო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის ჩატარებასთან.

28. წინადადება მიეცეს ა/კ. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს და ა/კ. საკოლმეურნეო ცენტრს—შეიმუშაონ, არა უგვიანეს აგვისტოს 10-სა, ბამბის მოსავლის აღების კამპანიის ყველა სახის სამუშაოსათვის ნამუშევარის ნორმები და მიაწოდონ რესპუბლიკებს.

29. წინადადება მიეცეს ა/კ. თესვის კომიტეტს და რესპუბლიკების თესვის კომიტეტებს—შეამოწმონ ერთი დეკადის ვადაზე საბამზე საბჭოთა მეურნეობების მზადყოფნა ბამბის მოსავლის აღების კამპანიისათვის და შეიმუშაონ ყველა საჭირო ღონისძიება, რაც უზრუნველყოფს საბჭოთა მეურნეობებს მუშა-ძალით ბამბის მოსავლის აღების პერიოდში, და წარუდგინონ ეს ღონისძიებანი ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს განსახილველად.

რესპუბლიკების თესვის კომიტეტებმა სისტემატიური კონტროლი უნდა გაუწიონ მოსავლის აღების კამპანიას საბამზე საბჭოთა მეურნეობებში და ყოველმხრივ ხელი შეუწყონ ამ მეურნეობებს.

30. წინადადება მიეცეს რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს და სამომხმარებლო კოოპერაციის ცენტრებს—ბამბის დამმზადებელ რესპუბლიკანურ ორგანოებთან, მებაამბობის კომიტეტებთან და საკოლმეურნეო ცენტრებთან ერთად—დაიმუშაონ ერთი დეკადის ვადაზე ბამბის მოსავლის აღ-

ბის კამპანიის პერიოდისათვის საბამზე რაიონებში, დამზადების პუნქტებში და საბჭოთა მეურნეობებში საზოგადოებრივი სასაძილოებისა და საჩაიების მოწყობის გეგმა. ა/კ. მომარაგების სახალხო კომისარიატმა და ა/კ. სამომხმარებლო კოოპერაციის კავშირმა მეთვალყურეობა უნდა გაუწიონ ამ ღონისძიების განხორციელებას.

31. რესპუბლიკების სახალხო კომისარიატებმა და ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატებმა უნდა წარუდგინონ ერთი დეკადის ვადაზე სათანადო სახალხო კომისართა საბჭოებს დასამტკიცებლად ბავშვთა, ბავშვთა ბაღებისა და სამკურნალო რაზმების მოწყობის გეგმები და უზრუნველყონ მათი ფართოდ გაშლა ა/კსფსრ საბამზე რაიონებში ა/წ. სექტემბრის 1-თვის.

32. საბამზე რაიონების პარტიულმა სარაიონო კომიტეტებმა უნდა ჩაატარონ აგვისტოს განმავლობაში კოლმეურნეთა და ინდივიდუალურ მშრომელ გლეხთა აქტივის ფართო სარაიონო თათბირები ბამბის მოსავლის აღების საკითხების გამო.

33. ამიერკავკასიისა, რესპუბლიკანურმა და სარაიონო გაზეთებმა დაუყოვნებლივ უნდა დაიწყონ ფართო კამპანია ბამბის მოსავლის აღების კამპანიისა, ბამბის მოსავლის აღებისა და ბამბის ჩაბარების ორგანიზაციის საკითხების გარშემო, სისტემატიურად გააშუქონ ბამბის მოსავლის აღების კამპანიის მომზადების მსვლელობა და განაზოგადონ მოწინავე რაიონების გამოცდილება.

34. ა/კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციამ აგვისტოს 20-თვის უნდა შეამოწმოს ყველა საბამზე ორგანიზაციის მზადყოფნა ბამბის მოსავლის აღების კამპანიისათვის.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო და სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტი მიაქცევენ ყველა პარტიული, საბჭოთა და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციის ყურადღებას იმ გარემოებას, რომ წინამდგომარე ბამბის მოსავლის აღების კამპანიის წარმატებით ჩატარება მთლად იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად მომზადებული და ორგანიზებული იქნება ყველა მათგანი ამ კამპანიისათვის.

სარაიონო და სასოფლო პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების მთელი მუშაობის ცენტრი ბამბის მოსავლის აღების პერიოდში გადატანილ უნდა იქნეს სოფლად, მინდვრად და ბრიგადაში.

პარტიულმა სარაიონო კომიტეტებმა და სარაიონო აღმასრულებელმა კომიტეტებმა უნდა უზრუნველყონ ფართო საზოგადოებრივ-პოლიტიკური მუშაობა კოლმეურნეთა შორის და აგრეთვე ღარიბ და საშუალო მეურნეობათა შორის; თანაც მკვეთრი ბრძოლა უნდა გაუწიონ ინდივიდუალური სექტორის მნიშვნელობის შეუფასებლობას ბამბის მოსავლის აღების კამპანიაში.

საბამზე რაიონების პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა უზრუნველყონ ბამბის მოსავლის აღების კამპანიის ორგანიზებულად ჩატარება, დადგენილ ვადაზე ბამბის მოკრეფა და ნედლეულის ჩაბარება; თანაც უღმობველად უნდა ებრძოლონ კულაკების ცდას—დებოროგანიზაცია შეიტანონ ბამბის მოსავლის აღების კამპანიაში და ჩაშლონ იგი.

პარტიის გენერალური ხაზის ურყევად გატარებამ და კულაკობასთან მკვეთრმა ბრძოლამ უნდა უზრუნველყოს 1932 წლის ბამბის მოსავლის წარმატებით აღება და სახელმწიფოსათვის ჩაბარება.

ბამბის მოსავლის აღების კამპანია უაღრესი მნიშვნელობის ეტაპია 1932 წლის მებაამებობის გეგმის აღსრულების საქმეში და იგი უნდა მიმდინარეობდეს კოლექტიური მეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების შემდგომი საორგანიზაციო-სამეურნეო და პოლიტიკური განმტკიცების ნიშანქვეშ და კოლექტივიზაციის შემდგომი ზრდის პირობებში; მისმა წარმატებით დამთავრებამ მტკიცე საძირკველი უნდა ჩაუყაროს 1933 წლის მებაამებობის გეგმას და უზრუნველყოს ძირითადად საბამბე რაიონების კოლექტივიზაციის დამთავრება, ხოლო ამ საფიქველზე—კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაცია.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე გ. მუსახეკოვი.

სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ)
ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის მდივანი მ. ორახელაშვილი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 183 №-ში 1932 წ. აგვისტოს 8-ს.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი და სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტისა.

152. ა/კსფსრ მებაამებობის 1933 წლის საკონტროლო ციფრების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო და სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტი აღგენენ:

1. ა/კსფსრ საბამბე რაიონებში სარწყავი ფართობების საერთო ნამატი 1933 წლისთვის განისაზღვროს 33.500 ჰექტარის რაოდენობით; აქედან ბამბისათვის—13.000 ჰექტარი; ამისდაშესაბამისად და 1932 წელს ფაქტიურად დათესილი ბამბის ფართობების მიხედვით, ბამბის ნათესის მთელი ფართობი ა/კსფსრ-ში 1933 წლისთვის განისაზღვროს 292.300 ჰექტარის რაოდენობით და შემდეგი განაწილებით ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებზე (ათასი ჰექტარობით):

	ბამბის ფართობი 1932 წ.	ბამბის ფართ. ნამატი 1933 წ.	ბამბის ფართ. გეგმა 1933 წ.
აზერბაიჯანის სსრ-ში	224,0	11,0	235,0
სომხეთის სსრ-ში	28,3	2,0	30,0
საქართველოს სსრ-ში	27,0	—	27,0
ჯამი	279,3	13,0	292,3

2. ფართობთა აღნიშნული ნამატის მიღება უზრუნველყოფილ იქნეს შემდეგი წყალსამეურნეო სამუშაოების განხორციელებით:

ა. დიდრონი მშენებლობის ხაზით:

ა) სამუშაოების განგრძობა ორჯონიკიძის სახელობის არხზე, სადაც საერთო ფართობი უნდა გამოვიდეს 7,0 ათასი ჰექტარის რაოდენობით; აქედან ბამბისათვის—4,0 ათასი ჰექტარი;

ბ) გამაჯანსაღებელი სამუშაოების გაშლა მულანის საინჟინერო სისტემებზე, უმათავრესად აზიზბეკოვის სისტემაზე (კოლექტორების რეკონსტრუქცია და დამთავრება), 2,0 ათასი ჰექტარი ირიგაციულად გამოსაყენებელი ნამატი ფართობის მიღებით; აქედან 1933 წელს ბამბის ნათესისათვის—500 ჰექტარი, ხოლო დანარჩენი—სამელიორაციო ღონისძიებათათვის (იონჯის ნათესი და სხვ.);

გ) მექანიკური მორწყვა (არსებული წყალსაქანების რეკონსტრუქცია და ახლების დადგმა), 80 ათასი ჰექტარი საერთო ახალი ფართობის მიღებით; აქედან ბამბისათვის—5,0 ათასი ჰექტარი;

დ) კირებზე (ნავთიანი მიწები) სამუშაოების განგრძობა, 100 ათასი ჰექტარი საერთო ფართობის მიღებით; აქედან ბამბისათვის—5,0 ათასი ჰექტარი.

ბ. წვრილი მშენებლობისა, ადგილობრივი სისტემების ექსპლოატაციის გაუმჯობესებისა და ამ სისტემების გადაკეთების ხაზით:

ა) აზერბაიჯანის სსრ-ში—საერთო გამოსავალი 5,0 ათასი ჰექტარი; აქედან ბამბისათვის—2,0 ათასი ჰექტარი (წვრილი სამუშაოები უმათავრესად სამუხის რაიონში და არაქსის სანაპირო ზოლში);

ბ) სომხეთის სსრ-ში—საერთო გამოსავალი 500 ჰექტარი; აქედან ბამბისათვის 200 ჰექტარი.

3. ამის გარდა, უზრუნველყოფილ იქნეს 1933 წელს ტერტერისა, სამგორისა, ყარა-სუ-ზანგიბასარის მშენებლობის დაწყება, სამუშაოების გაშლა მულანის გაჯანსაღებისათვის, ამჟამად წარმოებული სამუშაოების დაჩქარება, მუშაობის თავის ღრობზე წარმოება მდინ. მტკვრისა და არაქსის ნაპირების შემობეჭურებისათვის, ქაღრიზების რემონტი და აგრეთვე ყველა საკვლევი და საპროექტო სამუშაოს წარმოების დაჩქარება.

4. უზრუნველყოფილ იქნეს სისტემების ექსპლოატაციის გაუმჯობესებისათვის ღონისძიებათა განხორციელება და არსებულ ადგილობრივ სისტემებზე მდებარე ფართობების 50%-დე მექანიზირებული მეურნეობის საკურობისათვის გამოყენების სამუშაოთა ჩატარება.

5. ბამბის ფართობი ა/კსფსრ საბჭოთა მეურნეობების ხაზით 1933 წელს მიღებულ იქნეს 26.500 ჰექტარის რაოდენობით (წინააღმდეგ 21.500 ჰექტარისა 1932 წელს) და შემდეგი განაწილებით რესპუბლიკებზე და საბჭოთა მეურნეობებზე:

აზერბაიჯანის სსრ-ში:

ყარა-ქალა	5,5	ათასი ჰექტარი;
მილლის	13,0	ათასი ჰექტარი;
აზიზბეკოვისა	2,0	ათასი ჰექტარი;
	<hr/>	
	20,5	ათასი ჰექტარი.

სომხეთის სსრ-ში:

კირები (ნავთიანი მიწები) . .	1,5	ათასი ჰექტარი.
------------------------------	-----	----------------

საქართველოს სსრ-ში:

ალაზანი	3,0	ათასი ჰექტარი;
ყარაია	1,5	ათასი ჰექტარი;
	<hr/>	
	4,5	ათასი ჰექტარი,
	<hr/>	
სულ	26,5	ათასი ჰექტარი.

6. ბამბის საშუალო მოსავლიანობა ა/კსფსრ-ში განისაზღვროს 7,35 ცენტნერის რაოდენობით ჰექტარზე (წინააღმდეგ 6,3 ცენტნერისა 1932 წელს) და შემდეგი ნორმებით რესპუბლიკებზე და სექტორებზე:

	საბჭოთა მეურნ.	კოლექტ. მეურნ.	საშუალოდ
აზერბაიჯანის სსრ-ში	8,0	7,45	7,6
სომხეთის სსრ-ში	7,0	7,46	7,5
საქართველოს სსრ-ში	7,7	6,85	7,0
	<hr/>		
	7,94	7,4	7,35.

7. „ეგვიპტური“-სათვის ფართობი განისაზღვროს აზერბაიჯანის სსრ-ში 25.000 ჰექტარის რაოდენობით; აქედან საბჭოთა მეურნეობებში—9.000 ჰექტარი. „ეგვიპტური“-ს მოსავლიანობა მიღებულ იქნეს 7,0 ცენტნერის რაოდენობით საშუალოდ.

8. აღნიშნული მოსავლიანობის უზრუნველსაყოფად 1933 წელს განხორციელდებულ იქნეს შემდეგი აგროტექნიკური ღონისძიებანი (ათასი ჰექტარ.):

აზერბ. სსრ სომხ. სსრ საქ. სსრ ა/კსფსრ

ა) ზამთრისპირული ხენა (1933 წ. იანვრის 10-დე)	180,0	14,0	10,0	204
ბ) ზამთრის არათი (1933 წ. თებერგ. 15-დე)	80,0	7,5	10,0	97,5.

9. ნედლი ბამბის საერთო მოსავლის აღება 1933 წლისთვის განისაზღვროს 217.763 ტონნას რაოდენობით; აქედან:

აზერბაიჯანის სსრ-ში—176.250; აქედან საბჭოთა მეურნეობებში—16,5 ათასი ტონნა;

სომხეთის სსრ-ში—22.613 ტონნა; აქედან საბჭოთა მეურნეობებში—1,2 ათასი ტონნა;

საქართველოს სსრ-ში—18.900 ტონნა; აქედან საბჭოთა მეურნეობებში—3,5 ათასი ტონნა;

ა/კსფსრ-ში—217.763 ტონნა; აქედან საბჭოთა მეურნეობებში—21,2 ათასი ტონნა.

10. წინადადება მიეცეს ა/კ. სახელმწიფო საგეგმო კომისიას და ა/კ. მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატს—მებაზმეობისათვის მიღებული 1933 წლის საკონტროლო ციფრების მაჩვენებელთა საფუძველზე—შეიმუშაონ ერთი დეკადის ვადაზე ყველა საჭირო ღონისძიება მებაზმეობის 1933 წლის გეგმის აღსრულებისათვის და, რესპუბლიკებთან შეთანხმების შემდეგ, წარმოუდგინონ განსახილველად და დასამტკიცებლად სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტს და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ს. ტერ-გაბრიელიანი.**

სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ)

ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის მდივანი **მ. ორახელაშვილი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვესტოკა“-ს 184 №-ში 1932 წ. აგვისტოს 9-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

153. „რევოლუციონური კანონიერების თაობაზე“ გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. ივნისის 25-ის დადგენილების ა/კსფსრ-ში განხორციელების ღონისძიებათა შესახებ.

ენიდან პროლეტარული დიქტატურის განმტკიცებისა, მუშათა და მშრომელ გლეხთა ინტერესების დაცვისა და მშრომელთა კლასობრივ მტრებთან და მათ კონტრრევოლუციონურ პოლიტიკურ აგენტურასთან ბრძოლის ერთ-ერთი უაღრესი მნიშვნელობის საშუალება რევოლუციონური კანონიერების შიანერგვაა და რადგანაც ა/კსფსრ-ში ჯერ კიდევ აღმოფხვრილი არ არის რევოლუციონური კანონიერების დარღვევა თანამდებობის პირთა მიერ, განსაკუთრებით სოფლად,—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. წინადადება მიეცეს აზერბაიჯანისა, საქართველოს და სომხეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს:

ა) დაუყოვნებლივ იხმარონ ღონისძიებანი „რევოლუციონური კანონიერების შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. ივნისის 25-ის დადგენილების („იზვესტია“-ს 176 №-ი 1932 წ. ივნისის 27-სა) სრული განხორციელებისათვის;

ბ) მოაწყონ საქალაქო საბჭოებთან და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებთან კომისიები, რომელთაც დააკისრონ თანამდებობის პირთა მიერ ჩადენილი რეგოლუციონური კანონიერების დარღვევის ფაქტებისა და ბიუროკრატიზმის თაობაზე შესული განცხადებების შემოწმება; იმავე კომისიებს დააკისრონ მტკიცე დავალების დადებისა და განკულაკების პრაქტიკის შემოწმება და ამ სფეროში ჩადენილი მოქმედი კანონმდებლობის დარღვევათა აცილება;

გ) აღნიშნული კომისიები მოაწყონ შემდეგი შედეგიანობით: საქალაქო საბჭოს და სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე (კომისიის თავმჯდომარე), სასამართლოს, პროკურატურისა, მუშათა და გლეხთა ინსპექციისა, პროფესიონალირი კავშირისა, ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირისა და ერთი ან რამდენიმე კოლექტიური მეურნეობის (რაიონში) წარმომადგენელი (თითო);

დ) აღნიშნული კომისიების მუშაობის დამთავრებისათვის დანიშნონ გადაჭრილი ვადა; დაავალონ ხსენებულ კომისიებს ყველა შემთხვევა თანამდებობის პირთა მიერ კანონის დარღვევისა დაუყოვნებლივ აცნობონ ხოლმე პროკურატურას—დამნაშავეთა პასუხისგებაში მისაცემად საღისციპლინო ან სისხლის სამართლის წესით;

ე) დაავალონ სასამართლოს და პროკურატურის ორგანოებს—მიაქციონ განსაკუთრებული ყურადღება თანამდებობის პირთა მიერ ჩადენილ რეგოლუციონური კანონიერების დარღვევასთან და ბიუროკრატიზმთან ბრძოლის საქმეს და სასტიკ პასუხისგებაში აძლიონ დამნაშავენი, განსაკუთრებით—როდესაც თანამდებობის პირთა აღნიშნული მოქმედებით მაზინჯდება პარტიის და მთავრობის პოლიტიკა სოფლად;

ვ) მიანდონ პროკურატურისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოებს—შეამოწმონ ადგილობრივ სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტებისა და სასოფლო საბჭოების მიერ ჯარიმის დადების პრაქტიკა, მეტადრე ჩატარებულ სასოფლო-სამეურნეო კამპანიებთან დაკავშირებით, და დაუყოვნებლივ გააუქმონ და მოხსნან მოქმედი კანონმდებლობის დარღვევით დადებული ადმინისტრატიული ჯარიმები და გადასახდელი;

ზ) მიაქციონ ხელისუფლების ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების განსაკუთრებული ყურადღება საკავშირო მთავრობის დირექტივას რეგოლუციონური კანონიერების დაცვის შესახებ საკოლმეურნეო მშენებლობისა და მთლად კოლმეურნეთა მასების მიმართ, კერძოდ—საკოლმეურნეო ვაჭრობის ხაზით;

თ) განახორციელონ ღონისძიებანი კვალიფიციური მომუშავეებით სასამართლოს და პროკურატურის ორგანოების უზრუნველსაყოფად, განსაკუთრებით ეროვნულ უმცირესობათა რაიონებში, ამავე რაიონებში ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დირექტივის განსახორციელებლად, რაც ეხება სასამართლოში ადგილობრივ ენებზე ლაპარაკისა და სამართლის წარმოების შემოღებას, და აგრეთვე სასამართლოს და პროკურატურის მომუშავეთა მატერიალური და კულტურული მომსახურების გასაუმჯობესებლად;

ი) დაავალონ სასოფლო საბჭოებს, საქალაქო საბჭოებს და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს—სისტემატიურად მოისმინონ ხოლმე სასამართლოს

და პროკურატურის სათანადო ორგანოების მოხსენებები და მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოების თანამოხსენებები რევოლუციონური კანონიერების შთანერგვისათვის მათ მიერ წარმოებული მუშაობის შესახებ;

კ) მოისმინონ ხოლმე ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდენტებში უზენაესი სასამართლოებისა და რესპუბლიკანური პროკურატურის მოხსენებები რევოლუციონური კანონიერების შთანერგვისთვის სასამართლოს და პროკურატურის მიერ წარმოებული მუშაობის შესახებ;

ლ) აცნობონ ორი დეკადის ვადაზე ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდენტს საკავშირო მთავრობის ზემოაღნიშნული დადგენილებისა და ამა დადგენილების განხორციელებისათვის მიღებული ღონისძიებანი.

2. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ პროკურორს—წარმოუდგინოს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდენტს, არა უგვიანეს ა/წ. აგვისტოს 5-სა, მოხსენება ზემოაღნიშნული საკითხების გამო.

3. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ უზენაეს სასამართლოს და პროკურატურას—გააძლიერონ მუშაობა საერთო და სასამართლო ზედამხედველობისათვის, კერძოდ—სასამართლოს და პროკურატურის რესპუბლიკანური და ადგილობრივი ორგანოების მოქმედების გამოკვლევით მომქმედ კანონმდებლობაში განსაზღვრულ წესისამებრ. ამ გამოკვლევების შედეგების თაობაზე წარუდგინონ ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდენტს მოხსენება არა უგვიანეს ა/წ. სექტემბრის 1-სა.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე მ. ეფენდიევი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე გ. მუსაბეკოვი.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი გ. ხულთანოვი.

1932 წ. ივლისის 2.
ტიფლისი.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

154. შინაური კურდღლის მოშენების სფეროში საბჭოების ამოცანების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდენტმა აღნიშნავს, რომ საბჭოთა, პროფესიონალური და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების უმეტესობა საკმარის ყურადღებას არ აქცევს ა/კსფსრ-ში შინაური კურდღლის მოშენების საკითხებს—მაშინ, როდესაც ეს დარგი წერილი მეცხოველეო-

ბისა სწრაფი შედეგის მომცემია და მას შეუძლიან თვალსაჩინოდ შეანელოს ხორცეული პრობლემის სიმწვავე. ამის გამო და მუშათა და მოსამსახურეთა ხორცეული პროდუქტებით მომარაგების გაუმჯობესების მიზნით ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს:

1. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდიუმებს—განახორციელონ სასწრაფო წესით საჭირო ღონისძიებანი შინაური კურდღლის მოშენების განვითარებისათვის ყველა სისტემის ხაზით; ამასთანავე, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მშრომელთა ფართო მასების ინიციატივას და თვითმოქმედებას და ყოველმხრივი დახმარება უნდა გაეწიოს მუშათა ორგანიზაციებს შინაური კურდღლის მოშენების საქმის მოწყობისა და განვითარებისათვის.

2. წინადადება მიეცეს საქალაქო საბჭოებს—ფართოდ გაშალონ შინაური კურდღლის მოშენების საქმე სამრეწველო საფუძველზე, განსაკუთრებით საგარეთებნო მეურნეობებში, ქარხნებთან, ფაბრიკებთან, სასადილოებთან, საბავშვო სახლებთან, საავადმყოფოებთან, დასვენების სახლებთან და სხვ., რისთვისაც საცხებით გამოყენებულ უნდა იქნენ საბჭოების სექციები და დეპუტატთა ჯგუფები შინაური მეკურდღლეობის მნიშვნელობის აღსნა-განმარტების საწარმოებლად და ფართო მასებში ამ დარგის შთანერგვისათვის დახმარების გასაწევად.

3. დაევალოს სასოფლო საბჭოებს—ყოველმხრივ ხელი შეუწყონ შინაური მეკურდღლეობის განვითარებას და კოლექტიურ მეურნეობებთან, საბჭოთა მეურნეობებთან და ინდივიდუალურ ღარიბ და საშუალო მეურნეობებთან საკურდღლეობის მოწყობას, რისთვისაც ნება დართონ მათ უსასყიდლოდ აგროვონ შტოები (ხის თივა) და სხვა საკვები საშუალებანი, ხოლო სასოფლო მეურნეობის სხვა დარგებისათვის ზიანის მიუყენებლად; მოაწყონ გამოფენები და დააპრემირონ ის მეურნეობანი, რომელთაც მიაღწიეს რეალურ შედეგებს შინაური მეკურდღლეობის განვითარების საქმეში.

4. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს—შეიმუშაოს და განახორციელოს პრაქტიკული ღონისძიებანი შინაური მეკურდღლეობისთვის კადრების მოსამზადებლად და გარდასამზადებლად და აგრეთვე ნაციონალურ ენებზე პოპულარული მასური ლიტერატურისა და პლაკატების გამოსაცემად შინაური მეკურდღლეობის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე მ. ეფენდიევი.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი გ. სულთანოვი.

1932 წ. ივლისის 9.

ტფილისი.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

155. ტექნიკური კულტურების განვითარების სფეროში ქობულეთის სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის საბჭოთა მასსური მუშაობის მდგომარეობის შესახებ.

მოისმინა-რა ქობულეთის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. გოგიტიძის მოხსენება და ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პასუხისმგებელი ინსტრუქტორის ამხ. შენგელიას თანამოსხენება— ტექნიკური კულტურების განვითარების ხაზით ქობულეთის სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის საბჭოთა-მასსური მუშაობის მდგომარეობის შესახებ, ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმში აღნიშნავს ცალკეულ მიღწევებს საორგანიზაციო-მასსურ მუშაობაში უკანასკნელ დროს, ხოლო, ამასთანავე, აღნიშნავს აგრეთვე სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის არადამაკმაყოფილებელ მუშაობას ამ სფეროში, რაც ხასიათდება იმით, რომ:

- ა) სასოფლო საბჭოების სექციების მუშაობა სუსტია, ხოლო ზოგიერთ სასოფლო საბჭოში სექციები არ არსებობს;
- ბ) დარბთა ჯგუფებში მუშაობა არა სწარმოებს;
- გ) საწარმოო თათბირების მუშაობა მოგვარებული არ არის;
- დ) არტელისა და მიწის შეერთებულის ძალით დამუშავების ამხანაგობის წესდება განხორციელებული არ არის;
- ე) საბჭოთა მეურნეობებსა და კოლექტიურ მეურნეობებში დეპუტატთა ჯგუფები არ არსებობს;
- ვ) შრომის სოციალისტური მეთოდები სუსტად არის განხორციელებული და სხვ.

ამისდამახედვით ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმში ადგენს:

1. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს—დაავალოს აჭარისტანის ავტონომიური სსრ ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს:

ა) ორი დეკადის ვადაზე დააკომპლექტოს ქობულეთის სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის შტატები საორგანიზაციო-მასსური მუშაობის დარგის მომუშავეებით;

ბ) უზრუნველჰყოს უმოკლეს ვადაზე გარდატეხა საორგანიზაციო-მასსურ მუშაობაში—კოლექტიურ მეურნეობებთან, საბჭოთა მეურნეობებთან ღ სამანქანო-სატრაქტორო სადგურებთან დეპუტატთა ჯგუფების მოწყობით, სასოფლო საბჭოების არსებული სექციების მუშაობის გამოცოცხლებით და დაუყოვნებლივ სექციების მოწყობით იქ, სადაც ეს სექციები არ არსებობს; სექციების მუშაობა აგებულ უნდა იქნეს მუშაობის საბრიგადო-საწარმოო მეთოდზე;

გ) აუცილებლად და გადაჭრით გამოაცოცხლოს სასოფლო საბჭოებსა და კოლექტიურ მეურნეობებში საწარმოო თათბირებისა და ღარიბთა ჯგუფების მუშაობა;

დ) წინადადება მისცეს ქობულეთის რაიონის სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს და სასოფლო საბჭოებს—გააძლიერონ კონკრეტული ოპერატიული ხელმძღვანელობის გაწევა კოლექტიური მეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საორგანიზაციო-სამეურნეო განმტკიცების საქმისათვის; გასწმინდონ ისინი კულაკურ და უცხო ელემენტებისაგან; შთანერგონ ნამდვილი ნარდობა; ხელი შეუწყონ კოლმეურნეების სისწორით განაწილებას ბრიგადებზე და საწარმოო ნაკვეთებზე მიმაგრებას; ფართოდ გაშალონ მასსური მუშაობა ამხ. სტალინის ექვსი ისტორიული პირობის რეალიზაციისათვის საკოლმეურნეო და საბჭოთა მეურნეობების მუშაობის ყველა ნაკვეთის ხაზით;

ე) წინადადება მისცეს ქობულეთის რაიონის სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს და სასოფლო საბჭოებს—ფართოდ გაშალონ მუშაობა აქარელ ქალებს შორის, ჩააბან ისინი სასოფლო საბჭოებისა, დეპუტატთა ჯგუფების და საწარმოო თათბირების მუშაობაში; მოაწყონ კოლექტიურ მეურნეობებში ქალთა საწარმოო თათბირები; დააწინაურონ ქალები საბჭოებსა და კოლექტიურ მეურნეობებში ხელმძღვანელ პოსტებზე დასანიშნად;

ვ) მიაქციოს განსაკუთრებული ყურადღება კოლექტიური მეურნეობების თავმჯდომარეებისა, ბრიგადირებისა, სასოფლო საბჭოების თავმჯდომარეებისა, მდივნებისა და სხვ. სარაიონო კადრების გარდამზადებას;

ზ) წინადადება მისცეს ქობულეთის სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს—გააძლიეროს პრაქტიკული ოპერატიული ხელმძღვანელობის გაწევა სასოფლო საბჭოებისათვის ცოცხალი ინსტრუქტაჟით და მათი საანგარიშო მოხსენებების მოსმენით.

2. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს:

ა) დაავალოს საქართველოს საკოლმეურნეო ცენტრს—შეამოწმოს აქარის-ტანის ავტ. სსრ-ის საკოლმეურნეო მშენებლობის ორგანიზაცია სასოფლო-სამეურნეო არტელებისა და მიწის შეერთებულის ძალით დამუშავების ამხანაგობათა მოქმედი წესდების შესაბამისად; დაისახოს, ამასთანავე, კონკრეტული ღონისძიებანი კოლექტიური მეურნეობების შემდგომი განმტკიცებისათვის არსებულ კანონმდებლობათა განხორციელების ბაზისზე;

ბ) მიანდოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს—მოაწესრიგოს უმოკლეს ვადაზე ქობულეთის რაიონის საგზაო მშენებლობის საკითხი;

გ) დაავალოს საქართველოს წყალსამეურნეო სამმართველოს—შეიმუშაოს და განახორციელოს ღონისძიებანი ჰაობების დაშრობისათვის ქობულეთის საკურორტო ზონაში;

დ) დაავალოს „საქჩაის“ და ლიმონ-მანდარინის ტრესტს—დაჰფარონ უმოკლეს ვადაზე დავალიანება იმ გლეხებისადმი, რომელნიც გადასახლდნენ საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიიდან.



3. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს—დაავალოს ა/კ. „ხილბოსტნეულის“ სალიკვიდაციო კომისიას—დაუყოვნებლივ დაჰფაროს დავალიანება ქობულეთის რაიონის გლეხებისადმი 1931 წელს ჩაბარებული მანდარინისათვის.

4. მიენდოს საქართველოს სსრ ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს—უზრუნველჰყოს ერთი დეკადის ვადაზე აჭარისტანის ავტ. სსრ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მუშაობის გარდაქმნა რაიონებისა და სასოფლო საბჭოებისათვის ცოცხალი ხელმძღვანელობის გაწევის ზახით.

5. წინადადება მიეცეს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებას—შეამოწმოს მიმდინარე წლის ოქტომბერში ამა დადგენილების აღსრულება და შედეგები მოახსენოს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე მ. ეფენდიევი.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი გ. სულთანოვი.

1932 წ. ივლისის 17.
ტფილისი.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

156. ბაქოს, ტფილისისა და ერივანის საქალაქო საბჭოებისათვის გადაცემული ადგილობრივი მრეწველობის შესახებ.

მოისმინა-რა ბაქოს საბჭოს, ტფილისის საბჭოს და ერივანის საბჭოს მოხსენებანი და ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების თანამოსხენება—საქალაქო საბჭოებისათვის გადაცემული ადგილობრივი მრეწველობის შესახებ, ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმში აღნიშნავს მთელ რიგ მიღწევათ ადგილობრივი მრეწველობის სფეროში, რაც გამოიხატა კაპიტალდაბანდებათა შეუწყვეტელ ზრდაში ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში, პროდუქციისა და შრომის ნაყოფიერების გადიდებაში, ადგილობრივი მრეწველობის რეკონსტრუქციაში, სოფმრეწვის საწარმოთა 1932 წლის პირველი კვარტალის სამრეწველო-საფინანსო გეგმების შესრულებაში და სხვ.

საქალაქო საბჭოების გამგებლობაში გადაცემული ადგილობრივი მრეწველობის ხაზით მოპოებულ ზემოაღნიშნულ მიღწევებთან ერთად ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმში აღნიშნავს შემდეგ ნაკლოვანებათ:

ა) სუსტი ხელმძღვანელობის გაწევა საბჭოების მიერ ადგილობრივი მრეწველობის განყოფილებათა საწარმოებში მასსური საბჭოთა მუშაობის გაშლისათვის და სამრეწველო-საფინანსო გეგმების შესასრულებლად აქტივის მობილენაციისათვის; ადგილობრივი მრეწველობის განყოფილებათა მთელ რიგ მნიშვნელოვან საწარმოში დეპუტატთა ჯგუფების არყოლა და უკვე მოწყობილი დეპუტატთა ჯგუფების არადამაკმაყოფილებელი მუშაობა; სოციალმტური შეჯიბრებით და დამკვერელობით მუშებისა და საინჟენერო-სატეხნიკო მომუშავეების სუსტად მოცვა;

ბ) ადგილობრივი მრეწველობის განყოფილებების საწარმოთა, განსაკუთრებით აგურისა და კირის ქარხნების არაუზრუნველყოფა საჭირო რაოდენობის დამზარე მასალით, უმთავრესად სათბობი მასალით;

გ) წარმოების პროცესების სუსტი მექანიზაცია და ადგილობრივი მრეწველობის განყოფილებების საწარმოთა ტეხნიკურად აღჭურვის არადამაკმაყოფილებლად გაშლა.

აღნიშნულ ნაკლოვანებათა და ამხ. სტალინის ექვსი პირობის სუსტად შთანერგვის გამო 1932 წლის 1-ლი კვარტალის სამრეწველო-საფინანსო გეგმა აღსრულებულ არ იქნა ადგილობრივი მრეწველობის განყოფილებების საშენი მასალის ტრესტების თითქმის ყველა საწარმოს მიერ; წარმოება სრულად არ იქნა გაშლილი; ადგილობრივი მრეწველობის განყოფილებების საწარმოთა სამრეწველო-საფინანსო გეგმები საკპარისად არ იყო დაკავშირებული საქალაქო საბჭოების და სხვა სამშენებლო ორგანიზაციების კომუნალურ-საბინაო მშენებლობის სამრეწველო-საფინანსო გეგმებთან და, ბოლოს, პროდუქციის თვითღირებულება თვალსაჩინოდ გადიდდა, ხოლო შრომის ნაყოფიერება ჩამორჩა სამუშაო ხელფასის ზრდას.

ამისდამიხედვით ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს:

1. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდიუმებს—დაავალონ, კუთვნილებისამებრ, ბაქოს, ტფილისის და ერივანის საბჭოებს:

ა) გადაჭრით გარდაქმნან თავიანთი მუშაობა საქალაქო საბჭოების ადგილობრივი მრეწველობის განყოფილებების გამგებლობაში მყოფ ტრესტებისა და საწარმოთათვის უფრო კონკრეტული დიფერენცირებული ხელმძღვანელობის გაწევის მიმართულებით და განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ტრესტების მუშაობას ადგილობრივი საშენი მასალის დამუშავეებისათვის სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის ივნისის გადაწყვეტილებათა საფუძველზე;

ბ) იხმარონ ღონისძიებანი, რათა ადგილობრივი მრეწველობის განყოფილებათა საწარმონი დაუყოვნებლივ დაკომპლექტებულ იქნენ საჭირო რაოდენობის სათანადო მუშებისა და, განსაკუთრებით-კი, საინჟენერო სატეხნიკო პერსონალის კადრებით; თანაც, სოციალური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების საფუძველზე, მოახერხონ მუშების დენადობის ლიკვიდაცია და მათი მიმავრება საწარმოზე;

გ) აღმოფხვრან იმ მუშების სამუშაო ხელფასის გათანაბრება, რომელნიც მოსაქმეობენ ქვის კარიერების დამუშავებაზე ბაქოში და ადგილობრივი მრეწველობის განყოფილებების სხვადასხვა საწარმოში;

დ) მიაღწიონ 1932 წელს აუცილებლად სამრეწველო-საფინანსო გეგმების აღსრულებას შრომის სათანადო ორგანიზაციით და სამეურნეო ანგარიშის ნამდვილი შთანერგვით ტრესტების საწარმოებში;

ე) გარდაქმნან მასსური მუშაობა საწარმოო ამოცანებისაკენ პირის მიქცევით, რისთვისაც უნდა გააძლიერონ და გააუმჯობესონ საბჭოების მასსური ორგანიზაციების—სექციებისა და დეპუტატთა ჯგუფების—მუშაობის თვისება; დაამყარონ ცოცხალი კავშირი საწარმოებთან; განახორციელონ გეგმაშეწონილი და სისტემატიური მასსური მუშაობა; განამტკიცონ თვითეულ ცალკე შემთხვევაში მუშათა მასსების აქტიობა სამრეწველო-საფინანსო გეგმების აღსრულებისა და გადამეტებით აღსრულებისათვის; ფართოდ შთანერგონ, ამასთანავე, შრომის სოციალისტური ფორმები—სოცმეჯიბრება და დამკვერლობა; აგრეთვე მიაქციონ სერიოზული ყურადღება მუშების კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას;

ვ) შეიმუშაონ და განახორციელონ ერთი თვის ვადაზე, მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულებთან და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატებთან ერთად, ღონისძიებანი ადგილობრივი მრეწველობის განყოფილებების ამა თუ იმ საწარმოში წარმოების პროცესების შემდგომი მექანიზაციისათვის, უმთავრესად ქვის კარიერებზე და ავურის ქარხნებში; თანაც დაუყოვნებლივ იხმარონ ღონისძიება, რათა სავსებით გამოყენებულ იქნეს არსებული მექანიზმები და გაწყობილობა და ამით შექმნან საჭირო პირობები შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და თვითღირებულების შემცირებისათვის;

ზ) ტრესტებისა და ადგილობრივი მრეწველობის განყოფილებების საწარმოთა საგეგმო მუშაობის ჯეროვან სიმაღლეზე დაყენებისათვის—უზრუნველჰყონ საგეგმო კომისიები და საგეგმო სექციები მომუშავეთა კვალიფიციური კადრებით, რისთვისაც საგეგმო მუშაობის ცენტრი უნდა გადაიტანონ ადგილობრივი მრეწველობის განყოფილებების საწარმოებში;

თ) იხმარონ, მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულებთან, მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატებთან, ა/კ. კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატთან და ა/კ. „სახმშენთან“ ერთად, ღონისძიებანი, რათა ადგილობრივი მრეწველობის განყოფილებათა სამრეწველო-საფინანსო გეგმები უფრო მჭიდროდ იქნეს დაკავშირებული სამშენებლო და სამეურნეო ორგანიზაციების სამრეწველო და სამშენებლო-საფინანსო გეგმებთან; ამასთანავე, ანგარიშში უნდა მიიღონ ადგილობრივი მრეწველობის განყოფილებების საწარმოთა ყველა რეალური შესაძლებლობა და განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ საშენი მასალის მოპოებისა და წარმოების გაშლის საქმეს;

ი) გადასინჯონ ადგილობრივი მრეწველობის განყოფილებების გამგებლობის გარეშე მყოფ ადგილობრივი მნიშვნელობის მქონე საწარმოთა მთელი ქსელი და

მათ შორის მნიშვნელოვანნი შეიტანონ ადგილობრივი მრეწველობის განყოფილებების სისტემაში.

2. წინადადება მიეცეს ა/კ. „მომარაგება-გასაღების“ სამმართველოს და რესპუბლიკანური „მომარაგება-გასაღების“ სამმართველოებს—უზრუნველჰყონ ადგილობრივი მრეწველობის განყოფილებების საწარმოთა დამხმარე მასალებით დაუცადებელი მომარაგება, მეტადრე სათბობი მასალით; ამასთანავე, იხმარონ ლონისძიებანი ადგილობრივი მრეწველობის განყოფილებების პროდუქციის სასწრაფო რეალიზაციისათვის, უმთავრესად საშენი მასალებისა; თანაც ვალდებულჰყონ მომხმარებელნი—თავის დროზე გაზიდონ ეს მასალები.

3. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდიუმებს და ა/კსფსრ ყველა საქალაქო საბჭოს—მიაქციონ განსაკუთრებული ყურადღება ადგილობრივი მრეწველობის შემდგომ განვითარებას და გააძლიერონ კონკრეტული ხილმძღვანელობისა და დახმარების გაწევა საწარმოთათვის და ტრესტებისათვის სამრეწველო-საფინანსო გეგმების სრულად და თავის დროზე შესრულებისა, პროდუქციის თვისების გაუმჯობესებისა, შრომის ნაყოფიერების გადიდებისა, საწარმოო პროცესის გაუმჯობესებისა და მექანიზაციის საქმეში—ამხ. სტალინის ექვსი პირობის პრაქტიკულად განხორციელების საფუძველზე.

4. წინადადება მიეცეს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებას—შეამოწმოს 1932 წლის ბოლოს ამა დადგენილების აღსრულება და შედეგი მოახსენოს პრეზიდიუმს.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ეფენდიევი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **გ. სულთანოვი.**

1932 წ. ივლისის 17.
ტფილისი.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსნი.

157. „ზავოტჰერნო“-ს სისტემაში ადგილობრივი საფქვავი, საბურღულე და ზეთეული მრეწველობის სამმართველოს მოწყობის შესახებ.

„ა/კსფსრ-ში დამზადებული სისტემის რეორგანიზაციის შესახებ“ გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. მარტის 7-ის დადგენილების შესაბამისად (ა/კსფსრ კან. კრ. 1932 წ. მე-6 №-ი, მუხ. 48) და ა/კსფსრ-ში სასოფლო-სამეურნეო საფქვავის აღსადგენად—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო აღგენს:

1. „ზაგოტზერნო“-ს სისტემაში (მის ა/კ. სამხარეო კონტორასთან) მოწყობილ იქნეს ა/კსტსრ ადგილობრივი საფეკვაი, საბურღულე და ზეთსახდელი მრეწველობის სამეურნეო ანგარიშიანი სამმართველო, ამ სამმართველოს რწმუნებულებით აზერბაიჯანის სსრ-ში, საქართველოს სსრ-ში და სომხეთის სსრ-ში.

შენიშვნა. როდესაც ა/კსტსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებში შეიქმნება საამისოდ საკმარისი ბაზისი, ამ რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოების შეხედულებით, სამმართველოს რწმუნებულების ნაცვლად, შეიძლება მოეწყოს ადგილობრივი მრეწველობის რესპუბლიკანური ტრესტები ა/კ. „ზაგოტზერნო“-ს რესპუბლიკანურ კონტორებთან, ამ ტრესტების 1-ლ მუხლში აღნიშნული სამმართველოსათვის დაქვემდებარებით.

2. ა/კ. „ზაგოტზერნო“-ს გამგებლობაში, 1-ლი მუხლით გათვალისწინებული სამმართველოს ხაზით, რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოების დადგენილების თანახმად, მათ მიერ დამტკიცებული სიებით, გადაიცემა რესპუბლიკების ტერიტორიაზე მომქმედი, სას.-სამეურნეო და ნახევრად სასაქონლო, სამინდგამოსალების გადამხდევინებელი წისქვილები—იმ სასაწყობო სათავსებით და ინვენტარით, რაც სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტებისა, კოოპერატიული და საზოგადოებრივი, საკოლმეურნეო და სხვა ორგანიზაციების გამგებლობაშია.

3. სამმართველოსათვის გადასაცემი ქონების გამო (მუხ. 2) ანგარიშგასწორების პირობები და წესი განისაზღვრება სსრკ-ის შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1931 წ. აგვისტოს 26-ის დადგენილების შესაბამისად.

4. ა/კსტსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებმა, ამა დადგენილების თანახმად, უნდა გამოსცენ სათანადო დადგენილებანი.

ა/კსტსრ სახალხო კომისართა

საბჭოს თავმჯდომარე გ. მუსაბეკოვი.

ა/კსტსრ სახალხო კომისართა

საბჭოს საქმეთა მმართველი ა. შავერდოვი

1932 წ. მაისის 16.

ტფილისი.



**დადგენილება ა/კსუსრ სახალხო კომისართა
საბჭოსი.**

158. ამიერკავკასიის წყალმომარაგების ტრესტის განყოფილებების ნაცვლად რესპუბლიკებში წყალსამეურნეო სამმართველოების მომარაგების ტრესტების მოწყობის შესახებ.

ა/კსუსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ლიკვიდირებულ იქნეს ა/კ. წყალმომარაგების ტრესტი და ყველა მისი, მოქმედებაში მყოფი, აქტივი და პასივი გადაეცეს ა/კ. წყალსამეურნეო სამმართველოს; მოეწყოს ამ სამმართველოსთან სამეურნეო ანგარიშიანი მომარაგების სექტორი—ცენტრალიზებული ფონდების მიღებისა, რესპუბლიკანურ ტრესტებს შორის განაწილებისა, დაგეგმვისა და აღნუსხვის ფუნქციებით.

2. მიენდოს აზერბაიჯანის სსრ-ისა, საქართველოს სსრ-სა და სომხეთის სსრ სახალხო კომისართა საბჭოებს—წინადადება მისცენ რესპუბლიკანურ წყალსამეურნეო სამმართველოებს—გაუქმებული ტრესტის განყოფილებათა ნაცვლად მოაწყონ წყალსამეურნეო ორგანოების მომმარაგებელი დამოუკიდებელი ტრესტები.

ა/კსუსრ სახალხო კომისართა

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნ. სვანიძე.

ა/კსუსრ სახალხო კომისართა

საბჭოს საქმეთა მმართველის მოადგილე ა. ხალარაძე.

1932 წ. ივლისის 20.

ტფილისი.

**დადგენილება ა/კსუსრ სახალხო კომისართა
საბჭოსი.**

159. ამიერკავკასიის თბობეტონის მშენებლობის ტრესტის მოწყობის შესახებ.

ა/კსუსრ-ში თბობეტონის მშენებლობის გაძლიერებისა და საამისო სამუშაოების სპეციალურ სამშენებლო ორგანიზაციაში თავმოყრის მიზნით—ა/კსუსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ნება დაერთვას მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიტის რწმუნებულს ა/კსუსრ-ში მოაწყოს ამიერკავკასიის თბობეტონის მშენებლობის ტრესტი ფედერატიული მნიშვნელობისა, რომელიც იმყოფება სსრკ-ის მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიტის რწმუნებულის (ა/კსუსრ-ში) სამმართველოს გაგებლობაში.



2. წინადადება მიეცეს სსრკ-ის მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს ა/კსფსრ-ში—ა/კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით—განსაზღვროს ტრესტის საწესდებო კაპიტალის საბრუნავი სახსარის რაოდენობა და აღნიშნული კაპიტალის მოწყობის წესი.

ა/კსფსრ სახალხო კომისარიატის
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. სვანიძე.

ა/კსფსრ სახალხო კომისარიატის
საბჭოს საქმეთა მმართველის მოადგილე ა. სალარიძე.

1932 წ. ივლისის 20.
ტფილისი.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისარიატის საბჭოსი.

160. ა/კსფსრ ჰიდრო-მეტეოროლოგიური კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისარიატის საბჭო აღდგენს:

1. დამტკიცებულ იქნეს ა/კსფსრ ჰიდრო-მეტეოროლოგიური კომიტეტის დებულება ამასთანავე დართული რედაქციით.
2. გაუქმებულ იქნეს ა/კსფსრ ჰიდრო-მეტეოროლოგიური კომიტეტის 1931 წ. ივლისის 11-ის დებულება (ა/კსფსრ კან. კრ. 1931 წ. მე-13 №-ი, მუხ. 162).
3. წინადადება მიეცეს აზერბაიჯანის სსრ-ისა, სომხეთის სსრ-ისა და საქართველოს სსრ-ის მთავრობათ—შეთანხმონ ამ რესპუბლიკების კანონმდებლობა ამა დადგენილებას.

ა/კსფსრ სახალხო კომისარიატის
საბჭოს თავმჯდომარე გ. მუსაბეკოვი.

ა/კსფსრ სახალხო კომისარიატის
საბჭოს საქმეთა მმართველის მოადგილე ა. სალარიძე.

1932 წ. აგვისტოს 1.
ტფილისი.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

ა/კსფსრ ჰიდრო-მეტეოროლოგიური კომიტეტის შესახებ.

1. ა/კსფსრ ჰიდრო-მეტეოროლოგიური კომიტეტი არსებობს ა/კსფსრ მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატთან და თავისი მოქმედებისათვის მან უნდა იხელმძღვანელოს ა/კსფსრ მთავრობისა და სსრკ-ის ჰიდრო-მეტეოროლოგიური კომიტეტის დირექტივები.

2. ა/კსფსრ ჰიდრო-მეტეოროლოგიური კომიტეტი, არის-რა ამიერკავკასიის ორგანო ერთიანი ჰიდრო-მეტეოროლოგიური სამსახურისა ა/კსფსრ-ში, აერთიანებს ა/კსფსრ ტერიტორიაზე არსებულ ყველა მეტეოროლოგიურ, ჰიდროლოგიურ და ჰიდრო-მეტეოროლოგიურ სამსახურს ერთიან სისტემად. კომიტეტის ამოცანას შეადგენს—მომსახურება გაუწიოს სახალხო მეურნეობისა და ჩვენი ქვეყნის დაცვის ყველა დარგს მეტეოროლოგიის (აქტინომეტრიისა და საატმოსფერო ელექტრობის ჩართვით) და ჰიდროლოგიის ხაზით და განახორციელოს ჰიდროლოგიური და მეტეოროლოგიური სამუშაოები, რაც საჭიროა მრეწველობისა, სოფლის მეურნეობისა, ქვეყნის დაცვისა, სარკინისგზო ტრანსპორტისა, ზღვით მიმოსვლისა, ავიაციისა, მშენებლობისა, წყლის მეურნეობისა, საკურორტო მეურნეობისა და მეურნეობის სხვა დარგებისათვის.

3. ა/კსფსრ ჰიდრო-მეტეოროლოგიური კომიტეტს ეკისრება:

ა) ხელმძღვანელობა გაუწიოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ჰიდრო-მეტეოროლოგიური კომიტეტებისა და აგრეთვე ფედერატიული მნიშვნელობის მქონე სამეცნიერო ჰიდრო-მეტეოროლოგიური ინსტიტუტების (სამეცნიერო-საკვლევო ჰიდრო-მეტეოროლოგიური ინსტიტუტი და ამინდის ინსტიტუტი), სადგურების, პოსტების და სხვა ჰიდრო-მეტეოროლოგიური დაწესებულებების მოქმედებას;

ბ) საერთო მეთოდოლოგიური ხელმძღვანელობა გაუწიოს ყველა ჰიდროლოგიურ და მეტეოროლოგიურ დაწესებულებას ა/კსფსრ ტერიტორიაზე;

გ) საერთო ხელმძღვანელობა გაუწიოს გეომაგნიტიზმის სამუშაოებს და ჩაატაროს გეომაგნიტური აგეგმა;

დ) განახორციელოს ღონისძიებანი ა/კსფსრ-ში წყლისა, ქარისა და მზის კადასტრების წარმოებისათვის, აგრეთვე ლიმნოლოგიური აგეგმისათვის.

4. განახორციელოს, სსრკ-ის ჰიდრო-მეტეოროლოგიური კომიტეტის სპეციალური უფლებამოსილობის თანახმად და ფარგლებში, განსაზღვრული ფუნქციები კასპიის ზღვის და აზერბაიჯანის სსრ-ის ჰიდრო-მეტეოროლოგიური ინსტიტუტის გამგებლობის სფეროში კასპიის ზღვისთვის მეტეოროლოგიური, ჰიდროლოგიური და გეომაგნიტური მომსახურების გაწევის ხაზით.

5. ა/კსფსრ ჰიდრო მეტეოროლოგიურ ინსტიტუტს უფლება აქვს:

ა) მისცეს ა/კსფსრ-ის ყველა ჰიდრო-მეტეოროლოგიურ დაწესებულებას დირექტივები და ინსტრუქციები და დაამყაროს მისთვის მუშაობის სავალდებულო ძირითადი მეთოდები;

ბ) მიანდოს ამ დაწესებულებებს საამიერკავკასიო მნიშვნელობის მქონე ყოველგვარი ოპერატიული და სამეცნიერო-საკვლევო ხასიათის დავალების აღსრულება;

გ) დაამტკიცოს, რესპუბლიკანურ ჰიდრო-მეტეოროლოგიურ კომიტეტებთან და დაინტერესებულ უწყებებთან შეთანხმებით, საამიერკავკასიო მნიშვნელობის მქონე ჰიდრო-მეტეოროლოგიურ დაწესებულებათა სია;

დ) მოსთხოვოს ყველა ჰიდრო-მეტეოროლოგიურ დაწესებულებას საჭირო ცნობების წარდგენა მის მიერ დადგენილ ვადაზე და აგრეთვე გადაგზავნოს ეს ცნობები ნაჩვენები მისამართით;

ე) შეამოწმოს რესპუბლიკანური ჰიდრო-მეტეოროლოგიური კომიტეტებისა და მის უშუალო გამგებლობაში მყოფი ჰიდრო-მეტეოროლოგიური დაწესებულებების მიერ მისი დირექტივებისა, დავალებებისა, ინსტრუქციებისა, მინიშნებებისა და სხვა მისთ. აღსრულება და გაუწიოს ამ დაწესებულებათ ინსპექტირება;

ვ) წარადგინოს, ა/კსტსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მეშვეობით, ა/კსტსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ განსახილველად მოხსენებები და დადგენილებების პროექტები თავისი კომპეტენციის საკითხების გამო;

ზ) აღძრას სათანადო დაწესებულებების წინაშე საკითხი იმ თანამდებობის პირთა პასუხისგებაში (სისხლის სამართლის ან სადისციპლინო წესით) მიცემის შესახებ, რომელნიც მის დირექტივებს და დავალებებს არ ასრულებენ;

თ) მოიწვიოს არსებული წესისამებრ ყრილობები, თათბირები და კონფერენციები, აგრეთვე მოაწყოს მუდმივი თუ დროებითი კომისიები ჰიდრო-მეტეოროლოგიური სამსახურის საკითხებისათვის;

ი) დაამყაროს და იქონიოს, არსებული წესისამებრ, კავშირი უცხოეთის საერთაშორისო ორგანიზაციებთან, რომელნიც მუშაობენ ჰიდროლოგიისა და მეტეოროლოგიის და სხვა მისთ. სფეროში.

6. ა/კსტსრ ჰიდრო-მეტეოროლოგიური კომიტეტის შედგენილობაში შედიან: თავმჯდომარე, მისი მოადგილე და წევრები; მათ შორის: სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულისა, მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულისა, ა/კ. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის რწმუნებულისა, მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულისა, ა/კ. მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულისა, ა/კ. მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატისა, ა/კ. წყალსამეურნეო სამმართველოსი, ა/კ. რკინის გზებისა, ა/კ. ახალი რკინის გზების მშენებლობის სამმართველოსი, ა/კ. გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოსი, წყლის ტრანსპორტის სახალხო კომისარიატის რწმუნებულისა, სრულიად საქავშირო სამოქალაქო ავიაციის შენაერთისა, ა/კ. მეზამბეობის კომიტეტისა, ა/კ. ტრაქტორცენტრისა, ა/კ. საკოლმეურნეო ცენტრისა, ა/კ. კომუნალური მეურეობის სახალხო კომისარიატისა, საქართველოს სსრ-ისა, სომხეთის სსრ-ისა და აზერბაიჯანის სსრ-ის ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატებისა და ა/კ. ჰიდრო-მეტრული კომიტეტის წარმომადგენელი.

კომიტეტის პერსონალურ შედგენილობას ამტკიცებს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო, ა/კსფსრ ჰიდრო-მეტეოროლოგიური კომიტეტის წარდგენი-სამებრ, ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მეშვეობით.

ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ჰიდრო-მეტეოროლო-გიური კომიტეტების თავმჯდომარეები და ა/კ. ჰიდრო-მეტეოროლოგიური კო-მიტეტის ინსტიტუტების დირექტორები წევრნი არიან კომიტატისა თავიანთი თანამდებობის მიხედვით.

7. ა/კსფსრ ჰიდრო-მეტეოროლოგიური ინსტიტუტის უშუალო ხელმძღვა-ნელობას ანხორციელებს მისი თავმჯდომარე ერთფეროსობისპრინციპის სა-ფუძველზე.

ჰიდრო-მეტეოროლოგიური კომიტეტის თავმჯდომარე ხელმძღვანელობას უწევს მთლად ჰიდრო-მეტეოროლოგიურ სამსახურს და საცესებით პასუხს აგებს მისი სათანადოდ მოწყობისა და სისწორით მოქმედებისათვის.

ჰიდრო-მეტეოროლოგიური სამსახურის ფედერატიულ დაწესებულებათა ყველა თანამდებობის პირი ინიშნება ა/კსფსრ ჰიდრომეტეოროლოგიური კომი-ტეტის მიერ უშუალოდ ან მის მიერვე დადგენილი წესით.

8. ა/კსფსრ ჰიდრო-მეტეოროლოგიური კომიტეტის განკარგულება ცალ-კეული რესპუბლიკის ტერიტორიაზე შეიძლება შეჩერებულ იქნეს მხოლოდ გან-საკუთრებულ შემთხვევაში ამ რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს დად-გენილებით, რაც უნდა ეცნობოს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ა/კსფსრ ჰიდრო-მეტეოროლოგიურ კომიტეტს.

9. ერთიანი ჰიდრო-მეტეოროლოგიური სამსახურის ხელმძღვანელობას აზერბაიჯანის სსრ-ისა, სომხეთის სსრ-ისა და საქართველოს სსრ-ის ტერიტო-რიაზე ა/კსფსრ ჰიდრო-მეტეოროლოგიური კომიტეტი ანხორციელებს ამ რეს-პუბლიკების ჰიდრო-მეტეოროლოგიური კომიტეტების მეშვეობით.

ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ჰიდრო-მეტეოროლო-გიური კომიტეტები მოქმედობენ ამ რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბ-ჭოების მიერ, ამა დადგენილების შესაბამისად, დამტკიცებული დებულებების თა-ნახმად.

10. აზერბაიჯანის სსრ-ისა, სომხეთის სსრ-ისა და საქართველოს სსრ-ის ჰიდრო-მეტეოროლოგიური კომიტეტების თავმჯდომარენი და წევრნი ინიშნებიან ამ რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოების მიერ იმ კანდიდატათაგან, რო-მელთაც დაასახელებს სათანადო რესპუბლიკის მიწათმოქმედების სახალხო კომი-სარიატი ა/კსფსრ ჰიდრო-მეტეოროლოგიურ კომიტეტთან შეთანხმებით.

აზერბაიჯანის სსრ-ისა, სომხეთის სსრ-ისა და საქართველოს სსრ-ის ჰიდრო-მეტეოროლოგიური კომიტეტების თავმჯდომარენი ხელმძღვანელობას უწე-ვენ ჰიდრო-მეტეოროლოგიური სამსახურის რესპუბლიკანურ და ადგილობრივ დაწესებულებათ ერთფეროსობის პრინციპის საფუძველზე.

11. აზერბაიჯანის სსრ-ისა და საქართველოს სსრ-ის ჰიდრო-მეტეორო-გიური კომიტეტების ადგილობრივი ორგანოები არიან ავტონომიური რესპუბლი-კების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებთან და ავტონომიური ოლქების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების საადგილმამულო ორგანოებთან

არსებული ჰიდრო-მეტეოროლოგიური კომიტეტები, რომელნიც მოქმედობენ სათანადო მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებისა და ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების მიერ, ა/კფსრ ჰიდრო-მეტეოროლოგიურ კომიტეტთან შეთანხმებით, დამტკიცებული დებულებების თანახმად.

12. ყოველგვარი ჰიდრო-მეტეოროლოგიური დაწესებულება, სადგური და პოსტი ა/კფსრ ტერიტორიაზე შედის ერთიანი ჰიდრო-მეტეოროლოგიური სამსახურის სისტემაში, რომელსაც მეთაურობს ა/კფსრ ჰიდრო-მეტეოროლოგიური კომიტეტი.

უწყებებსა და ორგანიზაციებში საუწყებო ჰიდრო-მეტეოროლოგიური დაწესებულებისა, სადგურისა და პოსტის შენარჩუნება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთეს შეუძლებელია სათანადო უწყების მოთხოვნების დაკმაყოფილება ერთიანი ჰიდრო-მეტეოროლოგიური სამსახურით, და ისიც მარტოდენ ა/კფსრ ჰიდრო-მეტეოროლოგიური კომიტეტისა და რესპუბლიკანური ჰიდრო-მეტეოროლოგიური კომიტეტების (კუთვნილებისამებრ) ნებართვით.

ა/კფსრ ჰიდრო-მეტეოროლოგიური კომიტეტის ინსტრუქციები და განკარგულებები მეთოდოლოგიისა და საერთო მუშაობის დაყენების საკითხების გამო აუცილებლად სავალდებულოა ყველა უწყების ჰიდრო-მეტეოლოგიური დაწესებულებებისათვის.

საუწყებო ჰიდრო-მეტეოროლოგიური დაწესებულებანი მოვალენი არიან წარუდგინონ ერთიანი ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის ორგანოებს, მათი მოთხოვნისამებრ, თავიანთი სამუშაოების პროგრამები და გეგმები და აგრეთვე თავიანთ დაკვირვებათა და გამოკვლევათა შედეგები.

შენიშვნა. აქამდე ერთიანი ჰიდრო-მეტეოროლოგიური სამსახურის შედგენილობაში გადაუცემელი ჰიდრო-მეტეოროლოგიური დაწესებულებები, სადგურები და პოსტები უნდა გადაეცეს ჰიდრო-მეტეოროლოგიურ კომიტეტებს, მათი მოთხოვნისამებრ, ყველა გაწყობილობით, ქონებით, შტაბით და კრედიტით.

13. ა/კფსრ ჰიდრო-მეტეოროლოგიურ კომიტეტს აქვს დამოუკიდებელი ხარჯთაღრიცხვა; ჰიდრო-მეტეოროლოგიური სამსახურის დაფინანსება მოხდება შემდეგ საფუძვლებზე:

ა. საერთო-საკავშირო ბიუჯეტს, სსრკ-ის ჰიდრო-მეტეოლოგიური კომიტეტის ხარჯთაღრიცხვით, მიეკუთვნება:

1. შესანახი ხარჯები საერთო-საკავშირო მნიშვნელობის მქონე ჰიდრო-მეტეოლოგიური დაწესებულებებისა და აგრეთვე სადგურების და ექსპედიციებისა, როგორიც არის:

ა) კასპიის ზღვის და აზერბაიჯანის ჰიდრო-მეტეოროლოგიური ინსტიტუტი;

ბ) გეომაგნიტური ობსერვატორია კარსანი, რომელიც შედის საქართველოს სსრ ჰიდრო-მეტეოროლოგიური კომიტეტის სისტემაში;

გ) საერთო-საკავშირო მნიშვნელობის სადგურების ქსელი სსრკ-ის ჰიდრო-მეტეოროლოგიური კომიტეტის მიერ დამტკიცებული სიის მიხედვით.

ბ. ა/კსფსრ ბიუჯეტს მიეკუთვნება:

1. ა/კსფსრ ჰიდრო-მეტეოროლოგიური კომიტეტის შესანახი ხარჯები.
 2. საამიერკავკასიო მნიშვნელობის ჰიდრო-მეტეოროლოგიური დაწესებულებებისა, სადგურებისა და პოსტების შესანახი ხარჯები;
 3. საამიერკავკასიო მნიშვნელობის მქონე სამეცნიერო-საკვლევო და სხვა სამუშაოების შესრულებისათვის საჭირო ხარჯები.
- ბ. საქართველოს სსრ-ისა, აზერბაიჯანის სსრ-ისა და სომხეთის სსრ-ის ბიუჯეტებს მიეკუთვნება:

1. რესპუბლიკანური ჰიდრო-მეტეოროლოგიური კომიტეტების შესანახი ხარჯები.
2. რესპუბლიკანური მნიშვნელობის სამეცნიერო დაწესებულებებისა, სადგურებისა და პოსტების შესანახი ხარჯები.

დ. ადგილობრივ ბიუჯეტებს მიეკუთვნება მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატების სისტემის საბჭოთა მეურნეობებში და კოლექტიურ მეურნეობებში პოსტების შესანახი ხარჯები.

14. კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატის რწმუნებული ა/კსფსრ-ში და გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებული ა/კსფსრ-ში მოვალენი არიან, ა/კსფსრ ჰიდრო-მეტეოროლოგიურ კომიტეტთან შეთანხმებით, უზრუნველჰყონ სასწრაფო, დაუცადებელი და უფასო მომსახურების გაწევა ა/კსფსრ ერთიანი ჰიდრო-მეტეოროლოგიური სამსახურისათვის კავშირგაბმულობის საშუალებებით (რადიო, ტელეგრაფი, ფოსტა).

15. ა/კსფსრ ჰიდრო-მეტეოროლოგიურ კომიტეტს აქვს ბეჭედი სახელმწიფო გერბის გამოსახულებით და თავისი სახელწოდებით.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

161. სამალარიო კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო აღდგენს:

სამალარიო კომიტეტის დებულება დამტკიცებულ იქნეს შემდეგი რედაქციით.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა

საბჭოს თავმჯდომარე გ. მუსახეკოვი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა

საბჭოს საქმეთა მმართველის მოადგილე ა. სალარიძე.

1932 წ. აგვისტოს 1.

ტფილისი.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

**მალარიასთან და სხვა ტროპიკულ დაავადებასთან ბრძოლისათვის ა/კსფსრ
სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული კომიტეტის შესახებ.**

1. ა/კსფსრ ტერიტორიაზე მალარიასთან და სხვა ტროპიკულ დაავადებასთან გეგმიანი და რაციონალური ბრძოლისათვის საერთო ხელმძღვანელობის გასაწევად ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსდება მალარიასთან და სხვა ტროპიკულ დაავადებასთან ბრძოლის კომიტეტი.

2. კომიტეტს ეკისრება:

ა) საერთო ხელმძღვანელობა გაუწიოს მალარიასთან და სხვა ტროპიკულ დაავადებასთან ბრძოლის რესპუბლიკანური კომიტეტების მუშაობას;

ბ) კონტროლი და მეთვალყურეობა გაუწიოს, სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების მეშვეობით ან მათთან შეთანხმებით დადგენილი წესისამებრ, მალარიასთან და სხვა ტროპიკულ დაავადებასთან ბრძოლის მიზნების მქონე დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიერ მიღებული ღირებულების შესრულებას და აგრეთვე სამეურნეო ორგანოების მიერ იმ ღონისძიებათა განხორციელებას, რაც უზრუნველყოფს, უმაღლესი ორგანოების დადგენილებების ფარგლებში, მუშათა შრომისა და ყოფაცხოვრების დაცვას მალარიით დაავადებისაგან დაფარვის თვალსაზრისით;

გ) განიხილოს რესპუბლიკანური სამალარიო კომიტეტების მიერ წარდგენილი საპერსპექტივო და წლიური გეგმები და საკონტროლო ციფრები და მისცეს დასკვნები მათ შესახებ; აგრეთვე განიხილოს მალარიასთან და სხვა ტროპიკულ დაავადებასთან ბრძოლის ანგარიშები და საკონიუნქტურო მიმოხილვები რესპუბლიკებისა და ა/კ. რკინის გზების ღირებულების საგზაო-სასანიტარო განყოფილების ხაზით და წარადგინოს ეს გეგმები, საკონტროლო ციფრები, ანგარიშები და მიმოხილვები უმაღლეს ორგანოებში;

დ) შეადგინოს, რესპუბლიკანური სამალარიო კომიტეტებისა, ა/კ. რკინის გზების ღირებულების საგზაო-სასანიტარო განყოფილებისა და სამხედრო-სასანიტარო სამმართველოს გეგმებისა და განაცხადების საფუძველზე, გეგმები მალარიისა და სხვა ტროპიკული დაავადების საწინააღმდეგო ღონისძიებათა უზრუნველყოფისათვის ქინაქინით, სხვა მედიკამენტებით და პრეპარატებით, აპარატურით, პარიზის სიმწვანით, მაშუთით და სხვ.;

ე) შეადგინოს, რესპუბლიკანური სამალარიო კომიტეტებისა და ა/კ. რკინის გზების ღირებულების საგზაო-სასანიტარო განყოფილების განაცხადების და გეგმების საფუძველზე, მალარიასთან და სხვა ტროპიკულ დაავადებასთან მებრძოლი დაწესებულებების კადრებით უზრუნველყოფის გეგმა;

ვ) გაატაროს მალარიასთან და სხვა ტროპიკულ დაავადებასთან ბრძოლის ყველა გეგმა და პროექტი უმაღლეს ინსტანციებში;

ზ) დაიმუშაოს, საკუთარი ინიციატივით ან უმაღლესი ორგანოების დავალებით, ცალკეული პრობლემები და საკითხები, რაც დაკავშირებულია მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის საქმის მოწესრიგებასთან და რაციონალიზაციასთან;

თ) გასცეს ღირეპტივები სამრეწველო საწარმოთა, სასაბჭოო მეურნეობათა და კოლექტიურ მეურნეობათა გამოკვლევისა და მომსახურებისა და აგრეთვე სანიტარული მინიმუმის დამუშავებისა და განხორციელებისათვის მალარიისთან და სხვა ტროპიკულ დაავადებასთან ბრძოლის სფეროში;

ი) გაანაწილოს—რესპუბლიკების სამალარო კომიტეტების წარმომადგენელთა მონაწილეობით—ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებსა და ა/კ. რკინის გზების ღირეპტივის საგზაო-სასანიტარო განყოფილებას შორის მალარიისთან და სხვა ტროპიკულ დაავადებასთან ბრძოლისათვის დანიშნული სპეციალური ფონდები და ასიგნებები, მიზნობრივ დანიშნულებათა აღნიშვნით;

კ) გამოსცეს სპეციალური (პერიოდული და არაპერიოდული) ლიტერატურა და აგრეთვე ხელი შეუწყოს რესპუბლიკანურ სამალარო კომიტეტებსა და ტროპიკულ დაავადებასთან ბრძოლის დაწესებულებებს მათთვის, არსებული წესისამებრ, უცხოეთის სპეციალური ლიტერატურის მიწოდების საქმეში;

ლ) შეიმუშაოს ახალი კანონპროექტები მალარიისთან და სხვა ტროპიკულ დაავადებასთან ბრძოლის სფეროში.

3. კომიტეტის დადგენილებანი მისი კომპეტენციის საზღვრების შესახებ სავალდებულოა რესპუბლიკანური სამალარო კომიტეტებისა, სამეურნეო ორგანოებისა და სხვა ორგანიზაციებისათვის; ამასთანავე, უკეთუ რესპუბლიკანური სამალარო კომიტეტი და დაინტერესებული უწყება და ორგანიზაცია თანახმა არ არის კომიტეტის დადგენილებაზე, იგი აცნობებს ამას კომიტეტს ერთი დეკადის ვადაზე; ასეთ შემთხვევაში კომიტეტს შეუძლიან გადასინჯოს საკითხი ან წარუდგინოს იგი ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს საბოლოო გადაწყვეტისათვის.

4. მე-2 მუხლში აღნიშნული ამოცანების განხორციელებისათვის კომიტეტს უფლება აქვს:

ა) მოსთხოვოს ყველა უწყებას, ორგანიზაციას და დაწესებულებას საანგარიშო სტატისტიკური მასალა, რასაც კავშირი აქვს მალარიისა და სხვა ტროპიკული დაავადების საწინააღმდეგო ბრძოლასთან;

ბ) მიიზიდოს უწყებებისა, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების წარმომადგენელი ცალკეული საკითხების დამუშავების დროს შესათანხმებლად;

გ) იქონიოს, სათანადო წესების დაცვით, კავშირი მალარიის საწინააღმდეგო უცხოეთის ორგანიზაციებთან და დაწესებულებებთან;

დ) მოიწვიოს, არსებული წესისამებრ, ყრილობები, კონფერენციები და თათბირები და მოაწყოს გამსვლელი სესიები;

ე) შეიტანოს უშუალოდ ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოში და უმაღლეს ეკონომიურ საბჭოში კანონპროექტები, მოხსენებები და წინადადებები;

ვ) მონაწილეობა მიიღოს, თავისი წარმომადგენლების მეშვეობით, სათათბირო ხმის უფლებით, ა/კსფსრ მთავრობის უმაღლესი და ცენტრალური ორგანოების სხდომებზე კომიტეტის საგამგებლო საკითხების განხილვის დროს;

ზ) მოაწყოს კომიტეტის საგამგებლო საკითხების გამო სპეციალური ექსპედიციები ა/კსფსრ ტერიტორიაზე და სამეცნიერო მივლინებანი სსრკ-ის ფარგლებში;

თ) მონაწილეობა მიიღოს კომიტეტის სავამებლო საკითხების გამო ა/კსფსრ ფარგლებს გარეშე მოწყობილ ყრილობებში, კონფერენციებში და თათბირებში.

5. კომიტეტის სახსარს შეადგენს საბიუჯეტო და სპეციალური ასიგნებები.

6. კომიტეტს ჰვავს არსებული წესისამებრ განსაზღვრული საჭირო შტატი.

7. კომიტეტს აქვს ბეჭედი ა/კსფსრ სახელმწიფო გერბის გამოსახულებით და თავის სახელწოდებით.

8. კომიტეტის შედგენილობაში შედიან: თავმჯდომარე და მისი მოადგილენი, რომელთაც პერსონალურად ჰნიშნავს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო, და კომიტეტის წევრნი.

9. კომიტეტის წევრებად არიან შემდეგი უწყებებისა და ორგანიზაციების მიერ გამოყოფილი წარმომადგენელნი, რომელთაც ამტკიცებს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო:

ა) ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატისა;

ბ) ა/კსფსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატისა;

გ) ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისა;

დ) ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციისა;

ე) ა/კსფსრ სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოსი;

ვ) სსრკ-ის გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულისა ა/კსფსრ-ში.

ზ) ა/კ. სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოსი;

თ) ა/კ. პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსი;

ი) ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიისა;

კ) სსრკ-ის სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულისა ა/კსფსრ-ში;

ლ) ა/კ. მებაამბეობის შენაერთისა;

მ) ა/კ. საკოლმეურნეო ცენტრისა;

ნ) ა/კ. სოციალური დაზღვევის კომიტეტისა;

ო) ახალი ხრალეული კულტურების საკავშირო შენაერთის ა/კ. განყოფილებისა;

პ) „საქართველოს ჩაი“-ს შენაერთისა;

ჟ) ერთი წარმომადგენელი წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის რესპ. საზოგადოებებისა;

რ) სსრკ-ის წყლის ტრანსპორტის სახალხო კომისარიატის რწმუნებულისა ა/კსფსრ-ში;

ს) ა/კ. გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოსი;

ტ) ა/კ. რკინის გზების დირექციისა;

უ) ა/კ. ახალი რკინის გზების მშენებელი სამმართველოსი;

ფ) სსრკ-ის მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულისა ა/კსფსრ-ში.

ამის გარდა, კომიტეტის შედგენილობაში წევრების სახით შედიან თანამდებობის კვალობაზე:

ა) რესპუბლიკანური ჯანმრთელობის სახალხო კომისრები;
 ბ) ა/კ. რკინის გზების დირექციის საგზაო-სასანიტარო განყოფილების უფროსი;

გ) რესპუბლიკანური სამალარო კომიტეტების თავმჯდომარენი.

დ) რესპუბლიკანური ტროპიკული ინსტიტუტების დირექტორნი;

ე) ა/კ. რკინის გზების ცენტრალური ტროპიკული სადგურის გამგე;

ვ) რესპუბლიკანური ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატების სანიტარულ-პროფილაქტიური და სამკურნალო-პროფილაქტიური განყოფილებების გამგენი და ა/კ. რკინის გზების დირექციის საგზაო-სასანიტარო განყოფილების გამგე;

ზ) კავკასიის წითელდროშიანი არმიის სამხედრო-სასანიტარო სამმართველოს უფროსი.

10. კომიტეტი თავისი წრიდან ირჩევს პრეზიდიუმს თავის მიერვე განსაზღვრული წევრთა რიცხვით; პრეზიდიუმის თავმჯდომარედ არის კომიტეტის თავმჯდომარე.

11. კომიტეტის პლენუმი მოიწვევა სამს თვეში ერთხელ მაინც.

12. კომიტეტის პლენუმის კომპეტენციაში შედის: პრეზიდიუმის წევრთა არჩევა; მალარიასთან ბრძოლის საპერსპექტივო წლიური და ნახევარ-წლიური გეგმებისა, ანგარიშებისა და საკონიუნქტურო მიმოხილვების განხილვა; პრეზიდიუმის მოქმედების წლიური და ნახევარწლიური გეგმებისა და ანგარიშების განხილვა და დამტკიცება; სპეციალური პრობლემებისა და განსაკუთრებული მნიშვნელობის საკითხების განხილვა.

